ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

12 — 13 ნოემბერი, 2011 №269 (5649) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“
+
მარკო პოლო
8 ლარი






გვ.2

## ლევან ბერძენიშვილი: „სააკაშვილი ერთი თვეა შოკიდან ვერ გამოდის“

ხელისუფლება ვადამდელი არჩევნების დანიშვნაზე ვერ თანხმდება



გვ.4

## ცხინვალის შსს საგანგებო რეჟიმზე გადავიდა

რა მოხდება 13 ნოემბერს?

## როგორ წავა სისხლით თუ უსისხლოდ, არჩევანი სააკაშვილზეა

გვ.5



## აფხაზეთის აღიარებაზე დისკუსიაც არ იქნება!

გვ.4



## ხობის გამგებლების დაჭერა უკვე ტრადიციად იქცა

რატომ მალავდნენ გამგებლის დაჭერის ფაქტს

გვ.3



გვ.5

## არასამთავრობოები „თრიალეთის“ მხარდასაჭერად ერთიანდებიან



## ხათუნა კალმახელიძე უცხოპლანეტელივით ალაპარაკდა



ISSN 1987-9385

პირველი რეპორტაჟი ციხიდან, სადაც მხოლოდ კანონიერი ქურდები სხედან

გვ.3

## ბორის ბედია: „ვცდილობ ჩემთვის დაწერილი სიმღერები ვიმღერო“

გვ.7



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ლევან ბერძენიშვილი: „სააკაშვილი ერთი თვეა შოკიდან ვერ გამოდის“

## ხელისუფლება ვადამდელი არჩევნების დანიშვნაზე ვერ თანხმდება

ნათია ხურცილავა

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ბერძენიშვილი, ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, რას იტყვით ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე?***

— განსაკუთრებული ვითარებაა. პარტია გზაგასაყარზეა, როდესაც უნდა გაირკვეს, ვისთან ერთად მოგვიწევს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ის კონტურები, რომლებიც გამოიკვეთა, ვგულისხმობ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან, ირაკლი ალასანიასა და თავისუფალ დემოკრატებთან თანამშრომლობას, გამყარდება.

***— ბიძინა ივანიშვილის განცხადებას ნინო ბურჯანაძესთან თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა ინტერპრეტაცია მოჰყვა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხზე?***

— ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეხვდება ნინო ბურჯანაძეს და ნებისმიერ პოლიტიკურ მოღვაწეს, საიდანაც დასკვნებს გამოიტანს. მე ვერ დავინახე ის, რომ ნინო ბურჯანაძე ან მისი პარტია, ან „სახალხო კრება“ ჩვენი პარტნიორი იქნებიან. ჩვენ, რესპუბლიკური პარტია, არ ვვარაუდობთ, რომ ბატონი ირაკლი ალასანია და თავისუფალი დემოკრატები, ჩვენ და ქალბატონი ნინო პარტნიორები ვიქნებით. რაც შეეხება ბატონ ივანიშვილს, მას სრული უფლება აქვს, შეხვდეს და ესაუბროს. ის უკვე შეხვდა ვილაცებს, ესაუბრა კიდეც, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენი პარტნიორები ზოგიერთები არ გამხდარან. პარტნიორობა, თანამშრომლობა, კოორდინაცია სხვადასხვა დონეა. პარტნიორებად უკვე გამოცხადებულია ორი პარტია და, ვფიქრობ, ასეც დარჩება, მაგრამ, გარდა ამისა, შეიძლება იყოს თანამშრომლობა. ეს არავის არავისთვის აკრძალული არა აქვს. პერსონალურად ქალბატონ ნინოსთან შეხვედრაში დრამატულს ვერაფერს ვხედავ. თავის დროზე ჩვენ ერთად ვიყავით. ერთად ვიყავით პასუხისმგებელი ბევრ მოვლენაზე, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები ქართველი ხალხის წინაშე იმ ფორმატით წარდგებიან, როდესაც ამომრჩეველი ხმას რომ მისცემს, გული რეჩხს არ უზამს, ანუ ამ ერთობაში არავინ იქნება ისეთი, ვისაც ხმა არ უნდა მისცე. ყველანი ერთად ვიბრძოლებთ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის. მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან გაშვება არის ამოცანა, რომლითაც გაირკვევა, საქართველო ევროპული ქვეყანა იქნება თუ შუააზიური. ჩვენ გვინდა ევროპული ქვეყანა. ევროპულია ქვეყანა, რომელიც ცვლის ხელისუფლებას არჩევნებით. ჩვენ მიხეილ სააკაშვილს არჩევნებით შევცვლით. თუ აქ ვინმე დაგვჭირდება, ყველასთან ვითანამშრომლებთ, მაგრამ რესპუბლიკურ პარტიას ნინო ბურჯანაძესთან პარტნიორული თანამშრომლობა რომ არ სურს, ეს არასდროს დაუმალავს და ვერც მე ვერ დავმალავ. პერსონალურად მქონდა და მაქვს პატივისცემა მისი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ, როგორც ადამიანს ადამიანის მიმართ, მაგრამ ეს სულ სხვა რამ არის. ჩვენ ჩვენი მოსაზრება არ დაგვიმალავს, არც ბატონმა ირაკლი ალასანიამ დამალა. თუმცა, აქ არაფერია დრამატული.

***— ბატონო ლევან, პრეზიდენტმა ორჯერ განაცხადა, რომ 26 მაისს ქუთაისში პარლამენტის სხდომა ჩატარდება. რამდენად რეალურია, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, რასაც ხელისუფლება უარყოფს?***

— ჩემი აზრით, ხელისუფლების ორივე ნათქვამი, რომ არ დაინიშნება ვადამდელი არჩევნები და სააკაშვილის მინიშნება, რომ იქნება, მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება არ არის დარწმუნებული, ჩაატარებს თუ არა არჩევნებს კონსტიტუციურ ვადაში. მათ ვერ იანგარიშეს, რომელი არჩევნები უფრო აძლევთ ხელს. ერთი წამითაც ეჭვი არავის არ ეპარება, რომ თუ ხელისუფლება დაინახავს, რომ ვადამდელ არჩევნებში მეტი შანსი აქვს, ის ამას გააკეთებს და არც საკონსტიტუციო ცვლილებას და არც კონსტიტუციის დარღვევას არ მოერიდება.



თუმცა, მე ვერ ვხედავ, ხელისუფლებისთვის რა სარგებლობა შეიძლება მოიტანოს ან ერთმა, ან მეორემ. ჩემი აზრით, ხელისუფლებაში სწორედ ამ დაბნეულობის გამოა, რომ სხვადასხვა სიმღერას მღერიან. სააკაშვილი ამბობს, რომ პარლამენტის სხდომა ქუთაისში შედგება, მაგრამ განმარტება ხდება, რომ ეს ის პარლამენტი არ იქნება, რომელიც თქვენ გგონიათ. კონსტიტუციაში სხვა რამე წერია და ა.შ. ეს არეულობა და დაბნეულობა გამოიწვია იმან, რომ მიხეილ სააკაშვილმა არ იცის, რომელი არჩევნები იქნებოდა მისთვის სასარგებლო. პირველად თავის ცხოვრებაში ის წააწყდა სიტუაციას ბოლო ერთი თვის მანძილზე, რომლიდანაც მან იმდენად ვერ იპოვა გამოსავალი, რომ მთავარი კონკურენტი, რომელზეც საუბრობს მთელი ქვეყანა, მსოფლიო, კარნეგის ცენტრი, ენდიაი, აირაი, მიხეილ სააკაშვილმა თავის თავს ვერ მისცა უფლება, რომ ბიძინა ივანიშვილის სახელი და გვარი გაიმეოროს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ის ბავშვივით იქცევა. ეს ნიშნავს, რომ ერთი თვის განმავლობაში ის შოკიდან ვერ გამოვიდა. არ ვიცი, როდის გამოვა ან გამოვა თუ არა საერთოდ, მაგრამ მიმაჩნია, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს ისე, როგორც ამას კანონი და კონსტიტუცია განსაზღვრავს. ჩემი აზრით, ვადამდელი არჩევნები ასევე ძალიან სასარგებლო იქნებოდა ოპოზიციისათვის, მაგრამ სასარგებლო არ იქნებოდა კანონებისთვის. ადრე ჩატარდება არჩევნები თუ გვიან, მიხეილ სააკაშვილი ამ არჩევნებში დამარცხდება. ეს ისევე არ იწვევს ჩემში ეჭვს, როგორც მიხეილ სააკაშვილში იწვევს ეჭვს არჩევნების საკითხი საერთოდ.

***— თქვენ ამბობთ, რომ ერთი თვეა სააკაშვილი შოკიდან ვერ გამოვიდა. მიანიშნებს თუ არა ეს იმაზე, რომ ის სწორედ ივანიშვილს განიხილავს ალტერნატივად? მთავარი პრობლემა ხომ სწორედ ეს იყო, რომ ალტერნატივა ვერ შეიქმნა.***

— მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა ასეთია: მან ბოლო ორი წლის განმავლობაში მეთოდურად იმუშავა და ოპოზიცია გაანადგურა. ოპოზიციის შანსები და რეიტინგები, ფაქტობრივად, გაანულა. ბრძოლის ველზე მარტო დარჩა. ამ ბრძოლის შემდეგ მისთვის ძალიან ძნელი გადასატანია ის, რომ მოულოდნელად გამოჩნდა მეტოქე, რომელმაც გამოჩენის პირველივე დღიდან არა მხოლოდ გამოაცხადა, რომ დაამარცხებს, არამედ აჩვენა კიდეც მთელ საზოგადოებას, ყველა დარწმუნდა, რომ დაამარცხებს. შინაური, გარეული ამაში ყველა დარწმუნდა. იმ რეაქციის მიხედვით, რომელსაც ვხედავთ, ვგულისხმობ სასწრაფოდ მოქალაქეობის ჩამორთმევას, ბანკის მანქანაზე თავდასხმას, შვილის მეგობრის დაპატიმრებას და სხვა – ამ ყველაფერმა აჩვენა, რომ მიხეილ სააკაშვილი ღრმა, მისთვის დამახასიათებელ დეპრესიაში ჩავარდა, რომლიდანაც ჩვეულებრივ სამ-ოთხ დღეში გამოდიოდა ხოლმე. გავიდა ერთი თვე და ვერ გამოდის ამ დეპრესიიდან, რაც ნიშანია იმისა, რომ ისინი ვერ იპოვიან კონტრთამაშს ბიძინა ივანიშვილისა და ამ ახალი რეალობის წინააღმდეგ, რომელიც შეიქმნა. ამას არც ვვარაუდობ. ფიზიკური ლიკვიდაციის გარდა თავში არაფერი მოსდით და ამის საშუალება არა აქვთ.

***— თუმცა, ექსპერტები ამბობენ, რომ ეიფორია, ქაოსი, რომელიც ხელისუფლებას ეტყობა, გადაივლის და კონტრგეგმებს შეიმუშავებენ. ამისთვის მზად უნდა იყოს ივანიშვილი და ოპოზიცია, არ უნდა მოდუნდნენ. ექსპერტების ამ შეფასებაზე რას იტყვით?***

— რა თქმა უნდა, არავინ არ უნდა მოვდუნდეთ. არა მგონია, რომ ივანიშვილი და ოპოზიცია მოდუნებისთვის იყვნენ განწყობილი. პირიქით, ივანიშვილსაც და ოპოზიციასაც ის დრო აქვთ, როდესაც სამუშაო მთელი მონდომებით უნდა შეასრულონ. ახლა მობილიზაციისა და მუშაობის პერიოდი დგება. რა თქმა უნდა, ექსპერტები მართალი არიან, არავითარი მოდუნება არ შეიძლება. ხელისუფლება, ცხადია, რაღაცას მოიფიქრებს, მაგრამ, ვიმეორებ, ამ გამოსავალს ისინი ჩვეულებრივ შემთხვევაში ორ-სამ დღეში პოულობდნენ. ერთი თვის განმავლობაში მათ ვერც ერთი არგუმენტი, გარდა იმისა, რომ ივანიშვილი პუტინის პროექტია, ვერ მოიფიქრეს. რაც შეეხება „პუტინის პროექტს“, ეს არგუმენტი არ ჭრის. არ მუშაობს. კონტრკითხვები არსებობს. ეკონომიკის მინისტრად ნამუშევარი ბენდუქიძე პუტინმა გვაჩუქა. პუტინს ვთხოვეთ და ის არ არის პუტინის პროექტი, ეს არის. ასეთი დამოკიდებულება ცოტა ძნელი ასატანი აზრია. საჭიროა რაღაც ახლის მოფიქრება. ერთი თვის მანძილზე არაფერი ახალი არ არის მოფიქრებული. კი ბატონო, დასხდებიან, მოიფიქრებენ, მაგრამ ექსპერტები მინდა გავაკვირვო, ვერაფერსაც ვერ მოიფიქრებენ. სამწუხაროდ, მათი ფანტაზია ამოიწურა. ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იქნება მუშაობა, მაგრამ ჩვენში ეიფორია არ დამდგარა, რადგან ჩვენ ვმუშაობთ. რაც შეეხება ხელისუფლებაში არსებულ სიტუაციას, ეს ეიფორია არ არის, ეს ღრმა დეპრესიაა. ამ დეპრესიიდან ვიღაცა გამოვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ივანიშვილის საკითხს გადაწყვეტს. გამოვლენ დეპრესიიდან და სააკაშვილის საკითხს გადაწყვეტენ, რომ ნაციონალური მოძრაობა გადაარჩინონ.

***— ეს რამდენად რეალურია?***

— ეს ლოგიკურია. რეალურია თუ არა ის, რაც არის ლოგიკური საქართველოში, ალბათ, კი, მაგრამ ამას მყარად ვერავინ იტყვის. მე ვვარაუდობ, რომ ნაციონალურ მოძრაობას აქვს დრო შოკიდან გამოსასვლელად და სააკაშვილთან ან მის გარეშე სტრატეგიების დასაწყობად. აშკარაა, რომ რამდენიმე ნაციონალი უკვე ფიქრობს ამაზე.

***— მაგალითად, ვინ?***

— ვერ გეტყვით, მაგრამ, თუ დააკვირდებით ცალკეული სტრუქტურების, მათ შორის მედიის მუშაობას, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს, ასეთი შთაბეჭდილება ძლიერდება. როდესაც ჩვენ ვხედავთ რაღაც-რაღაცებს, მაგალითად, პირველ არხზე ან კიდევ სხვაგან, ეს გვკარნახობს, რომ რაღაც ტექტონური მოძრაობები ხდება ნაციონალურ მოძრაობაში. ვინ რას ხელმძღვანელობს, ვერ გეტყვით, რადგან მე არც ერთს არ ვგულშემატკივრობ.

***— ამბობენ, რომ რამდენიმე შედარებითი ფრთაა. თქვენ რას იტყვით, ასეთი რამ არ არსებობს?***

— ნაციონალური მოძრაობის უკეთესი და უარესი ნაწილი ჩემთვის არ არსებობს. მე როდესაც ამერიკელები მეკითხებოდნენ, მიშა ცუდია, მაგრამ გიგაზე რას იტყვიო, მე ვამბობდი, რომ გიგა უარესია.

***— თქვენი მეგობარი რომ იყო?***

— მეგობარი ორივე იყო. თავის დროზე მიხეილ სააკაშვილიც და გიგა ბოკერიაც ჩემი მეგობრები იყვნენ, კიდევ ბევრი მეგობარი მყავდა, მაგრამ მეგობრობა, სამწუხაროდ, მუდმივი კატეგორია არ არის. იყვნენ მეგობრები, მაგრამ, ჩემი აზრით, განსაკუთრებით ბოკერიამ თავის იდეალებს უღალატა. არა მხოლოდ მე, თავის თავსაც უღალატა, რის გამოც დიდი ხნის განმავლობაში ფიზიკურად არ იყო კარგად. არა მგონია რომ ახლაც ძალიან ბედნიერი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიით ვნახეთ, რაღაცნაირი იჯდა, საიდანაც ჩანდა, რომ მიშაზე მაგარია. რა თქმა უნდა, იქ ეს პროცესები მიმდინარეობს. არ გამოვრიცხავ, რომ ინტელექტუალები, ბოკერია და ვილაცები ამ პროცესებში ჩართული იყვნენ. ის ხალხი, რომელიც არასდროს ჩანს, მაგალითად, ადეიშვილი, გარკვეული გაგებით – მერაბიშვილი, რა თქმა უნდა, თავის ფიქრებში არიან. რას მოიფიქრებენ, არ ვიცი. ნაციონალური მოძრაობის შიგნით მიმდინარე პროცესების იმედზე არ ვარ. თუმცა, ეს პროცესები იქნება და საზოგადოებას უკარნახებს, იქ რა ხდება. ალბათ, რღვევის პროცესი წავა, მაგრამ ჩვენ მათზე გამარჯვებას უნდა მივაღწიოთ იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პროცესი არ წავიდა. ამიტომ იმის იმედად არ ვარ, გიგა ბოკერია რაღაცას დააზიანებს თუ არა. არც გიგა ბოკერიაზე ვარ განსაკუთრებით მაღალი აზრის. იქ ყველაზე მაგარი ვინც იყო, კიდევაც არის პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილიდან კვადრატული ფესვის ოდენა პოლიტიკოსიც არ ჰყავთ მათ. პრობლემა არის ინტელექტუალები. ინტელექტით ბოკერია აღემატება კიდევაც სააკაშვილს, მაგრამ პოლიტიკაში ეს დიდი მასის არ არის.

***— დიდ პოლიტიკოსად ვერ შედგა ბოკერია?***

— ბოკერია საერთოდ არ დადგა პოლიტიკოსი. მას საჯარო პოლიტიკოსისთვის დამახასიათებელი ნიშნები არ ჰქონდა და არა აქვს. ქარიზმაზეც არ არის საუბარი, რომელიც პოპულარულია საზოგადოებაში. მას უარყოფითი ქარიზმა აქვს. ეს მისი ბრალი არ არის. ის ასეთია. ამას ვერავინ შეცვლის. მას არა აქვს არჩევა. ეს საბავშვო ბაღიდან იწყება. ადამიანს ირჩევენ ან არ ირჩევენ. ის არ არის არჩეული. მიშა სააკაშვილს ეს ბავშვობიდან ჰქონდა და კარგად გამოიყენა, რადგან ათასჯერ მეტი მიიღო, ვიდრე ეკუთვნოდა. რაც შეეხება ბოკერიას, ბატონ მერაბიშვილს, ბატონ ადეიშვილს – არც ერთს არანაირი შანსი, რომ საჯარო პოლიტიკოსად, პოპულარულ ლიდერად ჩამოყალიბდნენ, არ ჰქონია და არც აქვს.

***— უგულავა არის ამ სიაში? გასულ წელს საუბარი იყო თითქოს მის მემკვიდრედ დატოვებაზე.***

— უგულავას შეიძლება ოდესმე რამე შანსი ჰქონდა, რაც ძალიან მაცინებს, რადგან პოლიტიკაში მცირე ინტელექტი მაინც არის საჭირო. უგულავასთან ვერაფერი ამის მსგავსი ვერ დავინახეთ. გაკვირვებული ვარ, რადგან მისგან, მართალი რომ გითხრათ, მეტს ველოდი. „ალპეში“ მუშაობის დროიდან ვვარაუდობდი, რომ უგულავა უფრო მეტს მიაღწევდა, მაგრამ მაღლა აფრენას, ყველაფერთან ერთად, ვაჟკაცობა, გაბედულობა სჭირდება. მიხეილ სააკაშვილს არ უყვარს დედის წინ გამხტარი კვიცები და რა ქნას. უგულავას შეიძლება ოდესმე ამის შანსი ჰქონდა, მაგრამ ეს შანსი ახლა ჩამქრალია, თან, მოქალაქეები რომ გამოიკითხოთ, ვერავინ გეტყვით, რომ ასეთი პოლიტიკური ფიგურა, უგულავა, ვინმეს აინტერესებს. ის არ ჩამოყალიბდა არანაირ შიდაპარტიულ ალტერნატივად.

***— ბატონო ლევან, საუბარი იყო ჭორის დონეზე, მაგრამ რამდენად შეიძლება ნიკა რურუა ვიხილოთ ოპოზიციაში, თითქოს ალასანიას გუნდში? ნაციონალური მოძრაობიდან ვინმესთან ითანამშრომლებთ?***

— ჩემთვის ნაციონალური მოძრაობის პირველ და მეორე ეშელონში არ არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენთან ითანამშრომლებენ. რურუასთან დაკავშირებული საუბარი ძალიან ბრიყვულ მის წარსულზეა აგებული. მე ვერ ვხედავ რურუას ვერანაირ ოპოზიციაში. საქმე ის არის, რომ რურუაც ვერ ხედავს. რურუა არავის სჭირდება. არც იმათ სჭირდებათ, ვისაც ჰყავს და არც იმათ, ვისაც სთავაზობენ. რურუა მხოლოდ მხედრიონს სჭირდებოდა, რადგან იქ ინტელექტის ნაკლებობა იყო და რურუას ჰქონდა ინტელექტი, რომელიც არასწორი, ინტელექტისთვის უღირსი მიმართულებით ამუშავა. ახლაც ასე მუშაობს ის, მუშაობს მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ და საქართველოს საზიანოდ. ნაციონალებს მოაკლდებათ თუ არა რურუა ან პავლე კუბლაშვილი, ამით არაფერი შეიცვლება მათთვის. ნაციონალებმა იზრუნეს, რომ მიშა სააკაშვილის გარდა დანარჩენს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სად წავლენ. ვინც წამოსასვლელი იყო, ყველა წამოვიდა. რეალურად პარტიული სიის პირველი ათეულიდან, რომელიც 2003 წელს გავიდა, ჩახედეთ და ნახავთ, რომ არავინ არის დარჩენილი. მიხეილ სააკაშვილმა თავად იზრუნა, რომ მას არ ჰყავდეს ისეთი სახეები, რომელთა წასვლა ოპოზიციაში ნაციონალურ მოძრაობას დაანგრევს. ბოკერიამაც რომ თქვას, ოპოზიციაში მივდივარო, ეს არაფერს შეცვლის მიხეილ სააკაშვილისთვის. შეიძლება ვიღაცამ პლუსად ჩაუთვალოს, რომ გააგდო, რადგან არ უნდა, ასეთი არაპოპულარული ჰყავდეს. იქნება თუ არა ნაციონალების რღვევა, ეს მათი შიდა პრობლემაა. ვვარაუდობ, რომ რღვევა იქნება, მაგრამ ისინი ჩვენ ამ რღვევაზე ორიენტაციის გარეშე უნდა დავამარცხოთ. ამ რღვევას ხელს არანაირად არ შეუწყობთ. როგორც კი რამე ვცადეთ, პირიქით, შეეკვრნენ ერთმანეთს, ჩაეხუტნენ და ასე ჩახუტებულები უნდა გავამგზავროთ პოლიტიკიდან.

***— პარლამენტში უნდა დარჩეს თუ არა ნაციონალური მოძრაობა, მაგალითად, უმცირესობაში?***

— ეს ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. საქართველოს პარლამენტში ორი მესამედით კი არა, 50 პლუს ერთი ხმით რომ მოვიდეს ბიძინა ივანიშვილი, მეორე დღეს ის ასპროცენტიანი უმრავლესობა იქნება. დამარცხებული ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში და ღირსეულ პოზიციებზე ვერ წარმომიდგენია. დამარცხებული ნაციონალური მოძრაობა მთლიანად შევა უმრავლესობაში.

***— როგორც მოქალაქეთა კავშირი?***

— დიახ, როგორც მოქალაქეთა კავშირი, რადგან იქ არ არის არავინ, ვისაც ექნება ზნეობრივი ძალა, რომ იყოს ოპოზიციაში. ძალიან ადვილია, იყო ხელისუფლებაში, როდესაც ხარ კუბლაშვილი, ძალიან ძნელია, იყო ოპოზიციაში, როდესაც ხარ კუბლაშვილი. მივესალმები, რომ ისინი გადავიდნენ ოპოზიციაში, მაგრამ ასე არ ხდება. ოპოზიციაში წასვლასაც სჭირდება გარკვეული მორალური და პოლიტიკური ძალა.

***— ეს ხომ დემოკრატიის შემადგენელი ნაწილიც არის.***

— დიახ, თუ ნაციონალური მოძრაობის მესამე, მეოთხე ეშელონი შეინარჩუნებს პარტიას და სააკაშვილს არ გაჰყვება პოლიტიკურ სამარეში, ამას მხოლოდ მივესალმები, მაგრამ, რადგან ვიცი, როგორი პოლიტიკური მდგომარეობა და აზროვნების დეფიციტია ქვეყანაში, არ ველი, რომ არჩევნების შემდეგ გაირკვეს, რომ ყოფილი ხელისუფლება ოპოზიციაშია. ამის მისაღწევად ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ხობის გამგებლების დაჭერა უკვე ტრადიციად იქცა

## რატომ მალავდნენ გამგებლის დაჭერის ფაქტს

შალვა ჯოხაძე

**კუდ-ელმა სოსო თოფურიძემ მორიგი სპეციალური ბრიფინგი ჩაატარა და ჩვეული ლაკონიურობით გვაუწყა, რომ ხობის რაიონის გამგებელი იგორ ტყებუჩავა ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს. თუმცა მან არ გაგვიმხილა, რომ ეს დაკავება დღეს და გუშინ კი არა, 28 ოქტომბერს მოხდა.**

— კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს ხობის რაიონის გამგებელი, იგორ



ტყებუჩავა, რომელმაც მეწარმეს ხობის გამგეობის მიერ ჩარატებულ ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ ქრთამის სახით გამოსძალა 5000 ლარი. დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

ლამის მთელმა ხობმა დაინახა, მათი გამგებელი 28 ოქტომბერს როგორ დააპატიმრეს.

იგორ ტყებუჩავა მაშინვე თბილისისკენ გამოაქანეს. სანამ თოფურიძე ალაპარაკდებოდა, ქართულ მედიაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ტყებუჩავა გამგეობის წინ, შენობიდან გამოსვლის დროს აიყვანეს. მის დაკავებას ადგილობრივებიც შეესწრნენ.

ხობის რაიონის გამგებლის ორივე მოადგილე, რალა ჩემია და გიორგი გაწერელია მათი ხელმძღვანელის დაკავების ფაქტს არ ადასტურებდნენ, ამბობდნენ, რომ უბრალოდ, 28 ოქტომბრის შემდეგ ტყებუჩავა სამსახურში არ უნახავთ, მის მოვალეობას კი გაწერელია ასრულებდა.

„ნეტგაზეთს“ ერთ-ერთმა წყარომ შეატყობინა, რომ ხობის გამგეობის თანამშრომლები გამგებლის დაკავების დეტალებისა და მიზეზის გაგებას ოჯახის წევრებისაგან ცდილობდნენ, მაგრამ მათ ზარებს არავინ პასუხობდა. იმავე წყაროს ცნობით, ხობის რაიონის გამგებლებს სამსახურებრივი საქმიანობის გამო პრობლემები სამართალდამცავებთან არაერთხელ შექმნიათ. მაგალითად, სამართალდამცავები იძიებდნენ იგორ ტყებუჩავას წინამორბედის, რობერტ გვიჩიას საქმეს, რომელიც დაკითხვის შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ოფიციალურად მან პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. გვიჩია თანამდებობაზე 2006-2009 წლებში მუშაობდა. იგორ ტყებუჩავა კი ხობის რაიონის გამგებლის პოსტს სწორედ 2009 წლიდან იკავებს. წლების წინ დააკავეს უკვე ყოფილი გამგებელი ანგული მიქავა, რომელმაც სასჯელიც კი მოიხადა. კანონთან შექმნილი პრობლემების გამო ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ დააკავეს ხობის ერთ-ერთი გამგებელი თემურ გერგაია.

# ხათუნა კალმახელიძე უცხოპლანეტელივით ალაპარაკდა

შალვა ჯოხაძე

**პატიმრების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე ისეთ საოცარ კომენტარებს აკეთებს, ეს ქალბატონი აშკარად სხვა პლანეტაზე ცხოვრობს. მოკლედ, კალმახელიძის თქმით, კრიმინალების შიშით „ვარდების რევოლუციამდე" ხალხს თურმე ორმაგი კი არა, სამმაგი კარიც კი ჰქონდა, ახლა კი ეს კრიმინალები მის სამფლობელოში იხდიან სასჯელს. მინისტრი ქალი ყვება, რომ პატიმრებს ისეთ იდეალურ პირობებში ამყოფებს, ციხეში მოხვედრა მოგინდება! თუ ასეთი გადასარევი პირობებია, აბა, ეს პატიმრები ასე პანტა-პუნტით რატომ იხოცებიან? ხათუნა კალმახელიძე პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარს არასოდეს აკეთებს, ჟურნალისტების დანახვაზე ისე გარბის, ვერ დაეწევი. ის მხოლოდ სამინისტროს პიარღონისძიებებისას აკეთებს კომენტარებს და ახლა უცხოურ მედიასთანაც ალაპარაკდა.**

— სახლებში სამმაგ კარს სვამდნენ, მანქანას კი მას მერე ყიდულობდნენ, რაც ავტოფარეხ-ციხესიმაგრეს ააშენებდნენ. ახლა კი, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა მსოფლიოში. ხალხი უკვე სახლის კარს ღიასაც კი ტოვებს. მანქანების მფლობელები კი სიგნალიზაციაზე ფულს აღარ ხარჯავენ. რა თქმა უნდა, დამნაშავეობისაგან 100 პროცენტით გათავისუფლება ვერ შევძელით, მაგრამ მისი დონის ათჯერ შემცირება მოვახერხეთ...

ადრე, ჩვენს ოფიცრებს ძალიან დაბალი ანაზღაურება ჰქონდათ. ამიტომაც, კორუფცია იყო და კანონიერ ქურდებს კოლონიებში ყველაფერი ჰქონდათ: ნარკოტიკები, შპრიცები, დელიკატესები, ცალკე აპარტამენტები. მათთან დღის ნებისმიერ მონაკვეთში შედიოდნენ ნათესავები, რომლებიც ციხეში რჩებოდნენ კიდეც. ახლა ეს ყველაფერი შეიცვალა. დაწესებულების დირექტორის ხელფასი 2000 დოლარის ეკვივალენტია, ინსპექტორებისა – 400 დოლარამდე. ყველა იღებს პრემიას, სამედიცინო დაზღვევას მთელი ოჯახისათვის. მომავალი წლისათვის ხელფასები კიდევ გაიზრდება. და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი თანამშრომლების სტატუსის ამაღლება მოვახერხეთ, რის გამოც თავს კანონიერ ქურდებს არ გაუყადრებენ, მათ სხვა მენტალიტეტი აქვთ, – უთხრა უკრაინულ გამოცემა „სეგოდნიას“ ხათუნა კალმახელიძემ.

კალმახელიძის თქმით, ციხეებში ტუბერკულოზის პრობლემა გადაჭრეს, ავადმყოფი პატიმრების იზოლირება მოახდინეს, ხოლო ვისაც სტაციონარული დახმარება სჭირდება, მათთვის საავადმყოფოს აშენებენ. სისტემაში უკვე მოქმედებს ქირურგიული ჰოსპიტალი. ამას გარდა, პატიმრების პროფესიულ სწავლებაზეც ზრუნავენ, მათ ინგლისურ ენასაც ასწავლიან. პატიმრები მუშაობენ პურსაცხობებში, სათბურებში, სამკერვალოებში. მინისტრის თქმით, პატიმრები თვეში საშუალოდ 200 დოლარს იღებენ და მართალია, ეს ბევრი არ არის, მაგრამ სიგარეტის და საკვების საყიდლად ჰყოფნით. არიქა, ციხეში ამხელა თანხის გამომუშავება თუ არის შესაძლებელი, თავისუფლებაზე მყოფმა უმუშევრებმა აშკარად რამე უნდა ჩაიდინონ და დასაქმების პრობლემაც აღარ ექნებათ! გეკითხებით, არის თუ არა პიარზე გათვლილი ეს განცხადებები გასაკრიტიკებელი? თუმცა, კალმახელიძეს საზოგადოების კრიტიკაზეც აქვს თავისი პასუხი. როდესაც ამბობენ, რომ უკვე ლამის ნახევარი საქართველო პატიმარია, კალმახელიძე ამბობს, რომ ახლა სასჯელის მოხდის ალტერნატიულ ფორმებზე მუშაობენ.

უკრაინელი ჟურნალისტები კალმახელიძისა და მისი ქვეშევრდომებისაგან განსაკუთრებით კანონიერი ქურდების თემით დაინტერესდნენ. ისინი ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში კანონიერი ქურდების დევნა დაიწყო, მათ სხვადასხვა ქვეყანას შეაფარეს თავი, მათ შორის, უკრაინასაც. უკრაინელები ჩივიან, რომ მათ მალევე კრიმინალური იმპერიები შექმნეს და ქვეყანას პრობლემებიც შეუქმნეს. უკრაინაში მომრავლდა ავტომანქანების გატაცებები, ქურდობები, რასაც კანონიერი ქურდები უწევენ ორგანიზებას. უკრაინული მედია დაინტერესდა, რატომ გადაინაცვლეს ქურდებმა მათ ქვეყანაში და ამისათვის საქართველოში სპეციალურად კანონიერი ქურდებისათვის არსებული საპყრობილეც დაათვალიერეს. ეს არის საკნები შსს-ს ძველი შენობის სარდაფში, ორთაჭალაში.

— მედიის წარმომადგენელთა შორის პირველები ხართ, ვისაც ამ ციხის მონახულების უფლება მივეცით, თუმცა თქვენც ყვალაფერს ვერ გაჩვენებთ. ასეთია წესი. ასე რომ, არ გეწყინოთ, — განუცხადა ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ჭაკუამ.

საპყრობილის თანამშრომლებმა სტუმრებს ყველა ნივთი შემნახველ საკნებში დაატოვებინეს, მათ შორის ფოტოკამერა, მხოლოდ ბლოკნოტი და კალამი დაუტოვეს.

— ამ ციხეში გადაღება სასტიკად აკრძალულია. ფარული კამერა თუ შევნიშნე, მაშინვე გაგიყვანთ აქედან, — თქვა დავით ჭაკუამ.

უზარმაზარი საკეტი საშინელი ღრჭიალით გაიღო და დერეფნებისა და რკინის კარების გავლით ჟურნალისტები მესამე სართულზე აიყვანეს. კიბის უჯრედში კედლები ჯერ კიდევ ძველი საბჭოთა მეთოდით ე.წ. შუბით, ანუ წვრილი ქვის ნამცეცებითაა დაფარული.



## პირველი რეპორტაჟი ციხიდან, სადაც მხოლოდ კანონიერი ქურდები სხედან



— კამერებში ეს „შუბა“ არ არის, კიბეებიდანაც მალე მოვაშორებთ. ეს ყველაფერი ჩვენ საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით დაგვრჩა. მაშინ ამ სქელკედლებიან შენობაში მე-5 საპყრობილე იყო, — თქვა ჭაკუამ, რომელსაც თან საპყრობილის 5 თანამშრომელიც ახლდა.

უპირველესად, დავით ჭაკუა ციხის სიამაყეს, სადღეღამისო სამედიცინო პუნქტს მიადგა. ამ პატარა ოთახში არის საწოლი პაციენტის გასასინჯად, მაგიდა პროცედურებისთვის, შუშის ორი კარადა მედიკამენტებით, ძირითადად დამამშვიდებლებით.

— რა თქმა უნდა, ჩვენს პაციენტებს ნერვები უმტყუნებთ-ხოლმე, ციხეში ჯდომა მარტივი არ არის. ამას გარდა, პატიმრებს ხშირად აქვთ გულის პრობლემები, წნევა აწუხებთ. ყოველთვის კარგად იქცევიან, ზრდილობიანი ადამიანები არიან. ერთი კანონიერი ქურდი, რომელიც უკვე გათავისუფლდა კიდეც, ლექსებსაც კი წერდა, ეს ლექსები მომწონდა, — აღნიშნა ექთანმა ციცინო კობახიძემ.

სამედიცინო პუნქტის მახლობლად სტომატოლოგიური კაბინეტია. თანამედროვე იარაღებით აღჭურვილი ეს კაბინეტი ყოველდღე მუშაობს.

— პატიმრებთან გასაუბრება თქვენთვის არ შეიძლება, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ აქ 20-მდე საკანია. ყველა პატიმარი კანონიერი ქურდია. ყველაზე ხნიერი 54 წლისაა, ყველაზე ახალგაზრდა – 28-ის. ყველას სხვადასხვა სასჯელი აქვს დაწესებული, საშუალოდ 6-დან 15-წლამდე. ახლა თქვენ ერთ სტანდარტულ საკანს გაჩვენებთ, — განაცხადა დავით ჭაკუამ.

ერთ-ერთმა თანამშრომელმა გასაღებების უარმაზარი აცმით შავად შეღებიული რკინის კარი გააღო. ჟურნალისტები იქ მხოლოდ შეახედეს, ზღურბლთან დაყენეს. საკანში ორი ახალგაზრდა კაცი იჯდა, რომელთაც საკმაოდ ძვირადღირებული სპორტული ტანსაცმელი ეცვათ. კარი რომ გაიღო, ზუსტად მაშინ ამთავრებდნენ ჭადრაკის პარტიას. ისინი აშკარად დაიბნენ.

— გამარჯობა, — ერთხმად მიესალმნენ ჟურნალისტები, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს. მათ ამას ორმაგი ახსნა მოუძებნეს: ამ ადამიანებს. უბრალოდ, საუბარი არ სურდათ, ან იმიტომ დადუმდნენ, რომ კრიმინალური გაგებით, კანონიერ ქურდებს ინტერვიუს მიცემა ეკრძალებათ. მედიის წარმომადგენლებს სხვა გზა არ დარჩათ, მათ მხოლოდ საკანი დაათვალიერეს. შესასვლელთან მაგიდა იდგა, რომლის ფეხებიც, საწოლის ფეხების მსგავსად, იატაკზე იყო დაჭედებული. მაგიდაზე ჟურნალები და კროსვორდები იდო. პატარა ხალიჩა იყო დაგებული. ორსართულიანი საწოლი იდგა, კედლებზე ხატები ეკიდა. იყო საპირფარეშო. სარკმელს სამმაგი რკინის გისოსი ჰქონდა, საიდანაც შუქი ძლივს აღწევდა.

— პატიმრებს კარგად ვკვებავთ. მენიუშია თევზი, ხორცი, ლობიო, კარაქი და ფაფები. ამას გარდა, პატიმრებს რაც უნდათ (გარდა სპირტიანი სასმელებისა), შეუძლიათ, ციხის მაღაზიაში შეიძინონ. დღეში ერთი საათით სუფთა ჰაერზე ვასეირნებთ. თვეში სამჯერ ახლობლებთან დარეკვის და 15 წუთით საუბრის უფლება აქვთ. ეკუთვნით პაემნებიც, — განმარტა დავით ჭაკუამ.

პატიმრები პირველ სართულზე არსებულ სასეირნო ეზოში გაჰყავთ ხოლმე. ეს 5 მეტრი სიფართის ეზოა, სადაც გრძელი ხის სკამი დგას. აქედან კარგად ჩანს, რომ დამცავი გისოსები მთელი ციხის პერიმეტრზეა გადაჭიმული.

— აქედან გაქცევა შეუძლებელია, ვინც ჩვენთან მოხვდება, სასჯელს ბოლომდე მოიხდის, — ამბობს ჭაკუა.

აღსანიშნავია, რომ კანონიერი ქურდები თვითმომსახურებაზე არიან: თავად ალაგებენ კამერებს, რეცხავენ საკუთარ ნივთებს და ჭურჭელსაც კი. არადა, მათი დაუწერელი კანონებით, ეს კანონიერი ქურდისათვის დამამცირებელი საქციელია, მათ მაგივრად ეს ყველაფერი ხელისბიჭებმა უნდა შეასრულონ.

— ადრე კანონიერი ქურდები ჩვეულებრივ კოლონიაში რომ ისხდნენ, საშუალება ჰქონდათ, უსაქმურად ყოფილიყვნენ. თუმცა ჩვენთან მეფეები და მოსამსახურეები არ არსებობენ, კანონიერი ქუდები თავიდან ჩხუბობდნენ კიდეც, თუ ვის უნდა დაერეცხა ფინჯნები. თუმცა ეს ყველაფერი მალევე დავარეგულირეთ, ახლა ყველა თავისას ალაგებს, — აცხადებს ჭაკუა.

უკრაინელი ჟურნალისტები მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მიწოდებული ინფორმაციით არ დაკმაყოფილდნენ. ისინი თბილისის ერთ-ერთ კაფეში ყოფილ პატიმარს შეხვდნენ, რომელსაც ნახევარი ცხოვრება ციხეში აქვს გატარებული და იქ ე.წ. მაყურებლის სტატუსი ჰქონდა. 70 წლის რომ გახდა, პენსიაზე გავიდა, თუმცა საქმეს ბოლომდე მაინც არ ჩამოშორდა. ის წარმატებულ ხნიერ ბიზნესმენს ჰგავს – კარგად აცვია, მშვენიერი მანქანა ჰყავს და მძღოლი ემსახურება.

— მიშა იტყუება, რომ ყველა კანონიერი ქურდი დაამარცხა, „შპანა“, რომელიც ფულით წამოიწია, რა თქმა უნდა, გაყარა. ნამდვილ კანონიერ ქურდებს კი საქართველოში კვლავ ყველაფერი აქვთ. ისინი საქმეებს უცხოეთიდან მართავენ, მაგრამ დადგება დრო და ისინი სახლში დაბრუნდებიან, აი, ნახავთ.

***— გინდათ თქვათ, რომ ისინი კვლავ არიან დაკავშირებულნი ქართველ ჩინოვნიკებთან და რალაც საქმეები შეიძლება გადაწყვიტონ?***

— თქვენ როგორ გგონიათ? მათ სულ მაღალი თანამდებობის პირებთან აქვთ კავშირი და ასე იქნება ყოველთვის. ეს ხელისუფლებისათვის მომგებიანია. მათთვის შავი საქმე ვინმემ ხომ უნდა აკეთოს?

***— აბა, კანონიერი ქურდებისთვის განკუთვნილ ციხეში ვინ ზის?***

— არ გამაცინოთ, იქ არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენს სამყაროში არაფერს წარმოადგენენ, ამიტომაც არ მოგცეს თქვენ მათთან გასაუბრების საშუალება.

***— მაშინ, რატომ ამბობს საქართველოს ხელისუფლება, რომ ქვეყნიდან კანონიერი ქურდები ამოძირკვეს.***

— იმიტომ, რომ მოგვაჩვენონ, თითქოს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებენ. რალაცით ხომ უნდა იტრაბახონ. ამის მაგივრად, ურჩევნიათ, უმუშევრობას ებრძოლონ. ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა თითქმის ნახევარი სამსახურს ვერ შოულობს. აი, ესაა ნამდვილი სატკივარი და არა ქურდები.

# დათმობს თუ არა რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალს?

## გვიშველის თუ არა ვმო

თეა მარხვაიძე

მთელი ამ წლების განმავლობაში ბედნიერები ვიყავით, რომ რუსეთს ერთ ბარიერს მაინც ვუქმნიდით. ჩვენი უარის გამო რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას ვერ ახერხებდა. ჩვენთან ერთად მაშინ მოსკოვს ხელს ამერიკაც უშლიდა. უფრო სწორად ამერიკა იყო ამის წინაარმდეგი, ჩვენ კი ჩვენს თავზე ვიბრალებდით.

ეს რომ ასე იყო ამაში ობამას ადმინისტრაციამაც დაგვარწმუნა. ბუშის წასვლის შემდეგ რუსეთი და ამერიკა ერთმანეთს დაუტკბნენ. ახლა მათ გადატვირთვის ხანა უდგათ.

ეს ამბავი ჩვენს ხელისუფლებას არ მოსწონს, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ამბობენ. გულში კი...... გულში ამირანიც მღეროდა.

გადატვირთვის ფარგლებში გადაწყდა, რომ რუსეთი აუცილებლად გახდებოდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. რაშიც აქამდე მას ამერიკა უშლიდა ხელს. ახლა კი ობამამ თავის რუს კოლეგას უთხრა ამაში პირადად მე დაგეხმარებითო.

ეს ამბავი ჩვენებურებს არ ესიამოვნათ, მაგრამ ვაშინგტონს ხმამაღლა საყვედურს როგორ შეჰკადრებდნენ. თავიდან იბაქიბუქეს კიდევაც, რომ რუსეთს ვმო–ში არ შეუშვებდნენ. მერე როგორც ყოველთვის ფირფიტა შეატრიალეს. ბოროტი ხმები ამბობენ. რომ ამაში დიდი როლი ამერიკამაც შეასრულა. ამერიკის სიტყვა კი ჩვენთვის კანონია. და რაკი ამერიკამ მოითხოვა ახლა ვამბობთ, რომ კარგი ვქენით რუსეთს გზა რომ გავუხსენით.

ახლა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები იმას ამტკიცებენ, რომ რუსეთი ვმო-ში რომ წევრიანდება ამით ჩვენ უფრო ვიხეირეთ ვიდრე იმათო. მოსკოვსა და თბილისს შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად ჩვენთვის სანუკვარ ფსოუზე და როკის გვირაბთან დადგომა გველირსება.

ქართველი ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთი დანაპირებს არ შეასრულებს და კიდევ ერთხელ გადაგვაგდებს. მეორე ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ვმო=ს ხათრით აფხაზებზე და ოსებზე უარს იტყვის. მოსკოვს ბოლო დროს აფხაზებთან და ოსებთან მართლაც დაეძაბა ურთიერთობა. აქაური პოლიტიკოსები თუ მოლცაწეები შეწუხებული არიან იმის გამო, რომ რუსეთმა დათმო. მოსკოვი მათ უმტკიცებს, რომ მისი პოზიცია ურყევია.

ვმო-ს გარშემო ატეხი; აჟიოტაჟს უცხოური მედიაც აქტიურად აშუქებს.ამ თემას ვრცელი მასალა მიუძღვნა „ლადიოFრეეEუროპე „-მ. სტატიის თარგმანს საიტი ფორეიგნპრესი გვთავაზობს.

საქართველოს თვითგამოცხადებული რესპუბლიკების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის




მთავრობები შეშფოთებულები არიან და უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს და რუსეთს შორის შვეიცარიის შუამავლობით მიღწეული კომპრომისული შეთანხმების შესაძლო შედეგების გამო, შეთანხმების, რომელიც მოსკოვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) წევრობისკენ უხნის გზას. თუმცა, ძალიან საეჭვოა, რომ ისინი შეძლებენ ამ შეთანხმების ხელმოწერის და განხორციელების ჩაშლას.

ეს კომპრომისული შეთანხმება ნაწილობრივ პასუხობს საქართველოს ძველ მოთხოვნას, რაც რუსეთის ფედერაციასა და ორ თვითგამოცხადებულ რეგიონს შორის საქონლის გადაადგილებაზე კონტროლს გულისხმობდა. ცნობილია, რომ ისინი თბილისის კონტროლიდან 1990-იანი წლების დასაწყისში გავიდნენ. რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ოფიციალურად 2008 წლის აგვისტოში აღიარა საქართველოს კატასტროფული მცდელობის შემდეგ სამხედრო ძალით აღედგინა კონტროლი სამხრეთ ოსეთზე. შვეიცარიის შუამავლობით მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს კარძო კომპანიებიდან დამკვირვებლების განთავსებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „სავაჭრო დერეფნების" ორივე მხარეს, ასევე რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტთან. (თბილისი ამ სასაზღვრო გამშვებ პუნქტებთან ქართველი მებაჟეების განთავსებას მოითხოვდა). საერთაშორისო დამკვირვებლები შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს „მესამე მხარეს", სავარაუდოდ შვეიცარიას ჩააბარებენ ხოლმე, რომელიც შემდეგ უკვე ინფორმაციას მოსკოვს და თბილისს მიაწვდის.

საქართველო მსო-ს წევრი 2000 წელს გახდა, რითაც სხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის გაწევრიანებაზე ვეტოს გამოყენების უფლება მოიპოვა. ყველაზე ცოტა 2004 წლიდან საქართველო ამ უფლებას მოსკოვთან მის ხანგრძლივ დაპირისპირებაში ზეწოლის ბერკეტად იყენებს.

2004 წელს, საქართველომ რუსეთის მსო-ში გაწევრიანებაზე თანხმობის სანაცვლოდ რუსეთის ფედერაციის და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან ქართველი მებაჟეების განთავსება მოითხოვა იმ საქონლის კონტროლისთვის, რომელიც საზღვარს კვეთს, ასევე რუსეთის აკრძალვის გაუქმება ქართული ღვინის და მინერალური წყლის იმპორტზე. 2007 წლის ივლისში საქართველომ ეს მეორე მოთხოვნა მოხსნა.\

2008 წლის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, თითქოს მან მიაღწია მოსკოვთან წინასწარ შეთანხმებას რუსეთს და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის საზღვრებთან საბაჟო-გამშვები პუნქტების მოწყობის შესახებ. თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმალ უარყო აღნიშნული განცხადება. ორი თვის შემდეგ, თბილისმა შეწყვიტა რუსეთთან მოლაპარაკება, იმდროინდელი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განკარგულების საპასუხოდ, რომელშიც მოითხოვდა საქართველოს ორი რეგიონის მთავრობებთან ურთიერთობების ოფიციალურ გაფორმებას. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მოლაპარაკების პროცესი მთლიანად გაიყინა, მოსკოვმა კი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ოფიციალური მოლაპარაკებები მხოლოდ 2011 წლის მარტში განახლდა.

### „სუვერენიტეტის შელახვა"

შვეიცარიის კომპრომისული წინადადება, რომელზე შეთანხმებასაც ჟენევაში ხელი 9 ნოემბერს უნდა მოეწეროს, არ ითვალისწინებს დამკვირვებლების განთავსებას არც აფხაზეთის და არც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. კომპრომისული შეთანხმების დეტალების გამოქვეყნებამდეც აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ რუსულ საინფორმაციო სააგენტო ლეგნუმ-ს განუცხადა, რომ „აფხაზეთი თავის ტერიტორიაზე არცერთ დამკვირვებელს არ აიტანს, რადგან ეს ჩვენი სუვერენიტეტის დარღვევა იქნება". სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ ასევე განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არასდროს მისცემს მის საზღვრებთან განთვსების უფლებას. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის მხრივ დაადასტურა, რომ რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო, თავის სავაჭრო ურთიერთობებში რუსეთთან საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამოდის, და ამიტომ მიაჩნია, რომ საერთაშორისო და სხვა ნებისმიერი დამკვირვებლის განთავსება არ არის საჭირო და დაუშვებელია. თუმცა დღემდე ყველაზე ხმამაღალი პროტესტი აფხაზეთის ორმა ოპოზიციურმა პარტიამ გამოთქვა. აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმმა, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული რაულ ხაჯიმბა ხელმძღვანელობს, 7 ნოემბერს განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთ-საქართველოს შეთანხმება „აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შელახვის მცდელობაა" და „აფხაზეთის სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს". განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ეს სერიოზულად ავნებს რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებს.

შეშფოთება გამოთქვა ასევე ომის ვეტერანთა კავშირმა „არუაა"-მ, განაცხადა რა, რომ „საქართველო საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელების საბაბით ცდილობს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზღვრებზე კონტროლის აღდგენას" და რომ ეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის შელახვისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

ორივე ორგანიზაციამ რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი ხელმძღვანელობს, აფხაზეთის სუვერენიტეტის დასაცავად „შესაბამისი ზომების მიღებისკენ" მოუწოდა. მაგრამ რაც არ უნდა ბევრი იყვიროს ოპოზიციამ, ორივე ამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სხვა არჩევანი არ აქვს და ისინი იძულებულნი იქნებიან შეეგუონ რუსეთის მხრიდან ზურგში განხორციელებულ დარტყმას, რადგან ასეთია ფინანსური მხარდაჭერისა და სამხედრო დაცვის გაგრძელების ფასი.

# აფხაზეთის აღიარებაზე დისკუსიაც არ იქნება!

თეა მარხვაიძე

ბოლო დროს რამდენჯერმე გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს. ამ იდეით ერთ-ერთი პირველი ექსპერტო მამუკა არეშიძე გამოვიდა. ის ამის გამო კინაღამ ჩაქოლეს. არეშიძე დღემდე თავის მოსაზრებაზეა. ოღონდ ამბობს, რომ მას ვერ გაუგეს.



ამ მოსაზრებას თავიდან მომხრეები არ ჰყავდა. ცოტა ხნის წინ კი არასამთავრობოებმაც გააჟღერეს ამგვარი ინიციატივები.

– ზოგიერთი ექსპერტისა თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან სხვადასხვა ინტერვიუსა და შეხვედრებზე გამოითქმება მოსაზრება, საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატის ანალიტიკური დეპარტამენტი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ საჭიროდ არ თვლის მსგავს ექსპერტებთან დისკუსიაში შესვლას, რადგანაც საკითხის ასე დასმაც კი არამართებულად მიაჩნია, – ნათქვამია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ანალიტიკური დეპარტამენტის განცხადებაში.

მათი თქმით, აფხაზეთის აღიარების თაობაზე თბილისში დისკუსიის გამართვა სტიმულის მიმცემი შეიძლება აღმოჩნდეს მთელი რიგი ქვეყნებისთვის, რათა აღიარონ აფხაზეთი.

– აი, რატომ არის მსგავსი მოსაზრება არათუ მცდარი, არამედ დანაშაულებრივიც. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო მყარად დგას იმ პოზიციაზე, რომელიც საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის ნაწილია, – მიაჩნიათ დეპარტამენტში.

როგორც ისინი ამბობენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის გზით.

– რასაც საქართველო ნელი ნაბიჯებით ახორციელებს და რისი დასტურიცაა ევროპული თანამეგობრობის ლიდერების მრავალჯერ გაცხადებული პოზიცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, მათ შორის ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის ამ დღეებში საქართველოში ვიზიტის მთავარი მესიჯიც: „ნატო კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას; მტკიცედ ემხრობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არააღიარების პოლიტიკას და, შესაბამისად, არალეგიტიმურად მიიჩნევს საპრეზიდენტო არჩევნებს როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკებში". მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს უჭერენ რა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კურსს, თვით რუსეთისგან მკაცრად მოითხოვენ აღიარების უკან წაღებას. ამ ვითარებაში ცალკეული „ექსპერტების" ინიციატივა აფხაზეთის აღიარების შესახებ მხოლოდ ოკუპანტის წისქვილზე ასხამს წყალს.

ჩვენ კატეგორიულად ვგმობთ ასეთი პოლიტიკური უმეცრების ფაქტებს და მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის გასხვისებაზე ფიქრიც კი, რა მასშტაბისა და დონის პოლიტიკური დივიდენდების მომტანადაც არ უნდა ეჩვენებოდეს ის მავანს, საზიანო იქნება ქვეყნის ერთიანობის, მისი დამოუკიდებლობის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და სუვერენიტეტისათვის, – აცხადებენ უმაღლეს საბჭოში.

მათი მტკიცებით, მიზნის მიღწევა შესაძლებელია არა ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების, არამედ თანმიმდევრული, მტკიცე საგარეო პოლიტიკის განხორციელების გზით. ამ პოლიტიკამ უკვე გამოიღო, მართალია, მცირე, მაგრამ საკმაოდ ხელშესახები შედეგი – ეს არის ოკუპანტის მიერ საქართველოს ეკონომიკური საზღვრების აღიარება. აღნიშნული პოლიტიკის გაგრძელება დღეს თუ ხვალ უსათუოდ მიგვიყვანს კრემლის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების აღიარებამდეც.

# ცხინვალის შსს საგანგებო რეჟიმზე გადავიდა

## რა მოხდება 13 ნოემბერს?



თეა მარხვაიძე

13 ნოემბერს სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ეს არჩევნები ძალიან საინტერესოდ წარიმართება. არჩევნები ბევრად საინტერესო იქნებოდა, მასში მონაწილეობა ძამბოლატ თედეევს რომ მიეღო, მაგრამ მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. არადა, რა სკანდალები იქნებოდა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პატარა გაუგებრობები ახლაც იქნება. ეს სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროშიც იციან და საგანგებო რეჟიმზეც გადავიდნენ.

საგანგებო მდგომარეობაა კანდიდატების შტაბებშიც.

რამდენიმე ადამიანმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. რამდენიმე რეგისტრაციაში არგატარებულმა სახელისუფლებო კანდიდატს გამოუცხადა მხარდაჭერა. ანატოლი ბიბილოვის მხარდამჭერთა რიგებში აღმოჩნდა ცნობილი ოსი ოლიგარქი ალბერტ ჯუსოევიც, რომელიც კოკოითის დასანახავად ვერ იტანს, მაგრამ მის კაცად მიჩნეულს უჭერს მხარს. ეს უცნაურობა იმით ახსნა, რომ ბიბილოვს მხარს რუსეთი უჭერს. რუსეთმა ღია მხარდაჭერა ამ კაცს კვირის დასწყისში გამოუცხადა. ცხინვალში საგანგებოდ ჩავიდა რუსეთის დუმის დეპუტატი კონსტანტინ კოსაჩოვი. მან თქვა, რომ კრემლი მხარს ბიბილოვს უჭერს.

ამის შემდეგ მისმა რეიტინგმა მკვეთრად მოიმატა. მას ფეხდაფეხ მისდევს ოპოზიციონერი კანდიდატი ალა ჯიოევა. რომელსაც მხარი ძამბოლატ თედეევმა დაუჭირა. ამის შემდეგ მისი რეიტინგიც მკვეთრად არის გაზრდილი. ერთადერთი ქალი კანდიდატის მხარდასაჭერად ცხინვალში საგანგებოდ ჩავიდა გენერალი ანატოლი ბარანკევიჩიც.

გავრცელებული ინფორმაციით, კოკოითის ფავორიტი არა ბიბილოვი, არამედ გიორგი კაბისოვია, რომელიც ოდესღაც ამ კაცის პირადი დაცვის თანამშრომელი იყო. როგორც ამბობენ, კოკოითი ბიბილოვს ბოლომდე არ ენდობა. არ გამორიცხავენ., რომ მან ბიბილოვის წინააღმდეგ იმაიმუნოს. კოკოითისგან ასეთი რამეები მოსულა.

მოკლედ, ცხინვალში დიდი ამბების მოლოდინში არიან. წინაწარ არავინ იცის, ვინ მოიგებს არჩევნებს, რომელიც ზოგიერთი ექსპერტის განმარტებით, შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირების საბაბიც გახდეს.



# როგორ წავა — სისხლით თუ უსისხლოდ, არჩევანი სააკაშვილზეა

თამარ ნინიძე

**პოლონური მედიისთვის მიცემულმა ინტერვიუმ, სადაც მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტობის შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტი მისთვის უინტერესო და ნაკლებად მიმზიდველია, ბევრი კითხვა გააჩინა. სააკაშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ, მართალია, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მნიშვნელოვანი ფიგურები არიან, მაგრამ პრემიერი მთლიანად დამოკიდებულია პარლამენტზე, ეს კი თურმე საინტერესო პოზიცია არ არის იმ ადამიანისთვის, რომელიც დღეს პრეზიდენტია.**

გამოთქმული ვარაუდის მიხედვით, სააკაშვილი სულაც არ აპირებს პრემიერმინისტრობას, საკითხავია, მაშინ რა უნდა გააკეთოს 2013 წლის შემდეგ ახალგაზრდა პოლიტიკოსმა, რომელიც თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე იმყოფებოდა, ბოლოს კი ქვეყნის პრეზიდენტი იყო. თუ პრემიერმინისტრობა სააკაშვილისთვის უინტერესოა, რატომ უნდა იყოს საინტერესო პარლამენტის თავმჯდომარეობა? ამ ინტერვიუს შემდეგ მისმა პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ აგორებულ ჭორებს სააკაშვილის საპარლამენტო ამბიციებზე სპეკულაცია უწოდა.

ნაციონალური უმრავლესობის ე.წ. ფეისები ტელეეკრანიდან გვმოძღვრავენ, რომ ივანიშვილი რუსული პროექტია, ამ დროს კი სააკაშვილი დუმს. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე პრეზიდენტის დუმილს ასე ხსნის: ,,სააკაშვილს არც ემოციურად და არც რაციონალურად არა აქვს ჩამოყალიბებული ივანიშვილთან დაპირისპირების სტრატეგია. არ იცის, უკიდურესი აგრესია გამოხატოს თუ გაწონასწორებული ოპონირება გაუწიოს.“

სააკაშვილის გაუწონასწორებელ ხასიათს და ექსცენტრულობას თუ გავითვალისწინებთ, დაპირისპირების გადამწყვეტ ფაზაში ის უთუოდ აგრესიას გამოამჟღავნებს, თანაც, იმდენად არაარგუმენტირებულ პოზიციას დააფიქსირებს, რომ ივანიშვილის რეიტინგს არსებულზე უფრო გაცილებით მაღლა ასწევს. 25 ნოემბრამდე, ანუ იმ დრომდე, როცა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ქართული ოცნება“ დაფუძნდება, სააკაშვილის მსტოვრები კვლავ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ ძლიერი პოლიტიკური ოპონენტის დისკრედიტაციას. საგულისხმოა, რომ ,,ამბები ჯისთვის“ მიცემულ ინტერვიუში რამაზ საყვარელიძე სერიოზულ საშიშროებაზე საუბრობს, რომელიც ქვეყანას ემუქრება და ეს ცარიელი სიტყვები არ არის. მისი თქმით, საზოგადოება იმდენად არის ეიფორიულ მდგომარეობაში ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამო, რომ ვერ აცნობიერებს იმ რისკებს, რომლებიც სამოქალაქო დაპირისპირებას შეიძლება მოჰყვეს და პირველ რიგში იმას, რომ რეგიონებში სააკაშვილის ნაცები ნიღბიან ხალხს სროლაში ავარჯიშებენ, პარალელურად კი პოლიტიკური პროცესები მიდის. არსებობს საფრთხე, რომ ამ ორი პროცესის გადაკვეთა მოხდეს, თანაც ისე, რომ სააკაშვილი ეცდება, შეიარაღებული დაპირისპირების ფონზე ნებისმიერ ძალადობაზე წავიდეს, მერე კი თავი იმართლოს, ივანიშვილს (როგორც თავის დროზე პატარკაციშვილზე ამბობდა) სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა უნდოდა და ხელისუფლებამ ეს მცდელობა დროულად აღკვეთაო. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მაგრამ, იმედია, ხელისუფლება ამ საბედისწერო ქმედებაზე არ წავა.

ნაციონალები პასუხს ვერ სცემენ თავიანთ ბრალდებაზე, თუ რუსული პროექტია და პუტინის აგენტი, რატომ სარგებლობდნენ მისი ფინანსებით, რატომ არ არის ბენდუქიძე რუსული პროექტი და პუტინის აგენტი და რატომ აქვს უფლება რუსეთის მოქალაქე ბენდუქიძეს, საქართველოში დაბრუნდეს და ხელისუფლების მნიშვნელოვან თანამდებობებზე განაცხადოს პრეტენზია. არადა, ნაციონალებს სააკაშვილის მეთაურობით ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ნამდვილად მოუწევთ, ახლა თუ არა, წინასაარჩევნო კამპანიის გადამწყვეტ ეტაპზე მაინც.

სააკაშვილს იმაზეც მოუწევს პასუხის გაცემა, რატომ დაანგრიეს მან და მისმა მსტოვრებმა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ნიშანი — ოპოზიცია, რატომ მუშაობდნენ მუდმივად ოპოზიციის დისკრედიტაციაზე და რატომ ხარშავდნენ დასავლური ორიენტაციის ოპონენტებს ერთ ქვაბში სხვა მარგინალებთან ერთად. პოლიტიკურ სპექტრში არ დარჩენილა ძალა, რომელიც მიშისტებს ან მსუბუქად არ გაექილიკებინათ, ან უკიდურესად აგრესიული ტერმინოლოგიით არ ელანძღათ. ამ უთანასწორო ბრძოლაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ხელისუფლება იმარჯვებდა თავისი ძლიერი პროპაგანდისტული მანქანით, მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ოპოზიციამ სააკაშვილის საპირწონე დაინახა და, ბუნებრივია, მის გარშემო ცდილობს დაჯგუფებას. ახლა მთავარია, ივანიშვილმა მომგებიანად შეარჩიოს პარტნიორები არა მარტო პოლიტიკურ ფიგურებს შორის, არამედ სათანამშრომლოდ ხელი გაუწოდოს იმ რეალურ პოტენციალს, რომელსაც ინტელექტუალური რესურსი ჰქვია და რომელიც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ ჩარეცხილა სააკაშვილის დიდი სურვილის მიუხედავად. ის, რომ ივანიშვილი ბურჯანაძესთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს, შესაძლოა სულ არ იყოს განპირობებული ბურჯანაძისადმი ნაზი გრძნობებით. ბიზნესში წარმატებული ფიგურა არ აპირებს სააკაშვილის, მანამდე კი გამსახურდიას შეცდომების გამეორებას და საზოგადოების დაყოფას ჩარეცხილებად, წითელ ინტელიგენციად და მლიქვნელებად. მას, როგორც ჩანს, სურვილი აქვს, საზოგადოება კიდევ უფრო გააერთიანოს და ეს კარგი პოლიტიკური სვლაა. თუმცა, ისევ და ისევ მნიშვნელოვანია, არ გადაამლაშოს და მართლაც რომ მარგინალებს არ მისცეს საშუალება, ისარგებლონ მისი ნდობით.

სააკაშვილმა მოახერხა არა მარტო გამყოფი ხაზების გავლება ინტელიგენციასა და პოლიტიკურ ძალებში, არამედ ბიზნესმენთა შორისაც. ბიზნესის დატერორება, მისთვის იძულებითი წესით ფინანსების ხარჯვა არამომგებიან პროექტებში, საარჩევნო კამპანიების დაფინანსება და კერძო საკუთრების არათანაბარი გადანაწილება — ეს ის არასრული ჩამონათვალია, რომლის გამოც დღეს მსხვილი ბიზნესკომპანიები პოლიტიკურ პროცესებს ჩამოშორებული არიან, არადა, ბიზნესმენებიც ისეთივე ამომრჩევლები გახლავთ, როგორებიც — რიგითი მოქალაქეები. ივანიშვილის მიზანი ამ ადამიანების პოტენციალის გამოყენებაა, ბიზნესმენებთან ერთად პერსპექტივები ქვეყნის რეფორმებში ჩართვისა სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს, პიარტექნოლოგებს, ანალიტიკოსებს, ჯანდაცვის, განათლების სფეროს ექსპერტებს გააჩნიათ.

სავარაუდოა, სააკაშვილი ეცადოს, თავისი პრეზიდენტობის დროს მოასწროს მაპის მიღება საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების გზაზე. ეს მას პოლიტიკური ქულების დასაწერად დასჭირდება, მაგრამ ნატოს გენმდივნის ვიზიტი, მისი რეკომენდაციები ჯერ კიდევ არ იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ ხელისუფლებამ მაპი მიიღოს. რეკომენდაციები ერთობ სერიოზულია, ამ მიმართულებით სამუშაოც ბევრია, დასავლეთის დასანახავად სააკაშვილი სასამართლო რეფორმის გაგრძელების ილუზიას შექმნის თუნდაც მსაჯულების ინსტიტუტის დამკვიდრებით, მაგრამ რა ვუყოთ საარჩევნო კოდექსს, რომელიც ერთ ადგილზე იტკეპნება, რა მოვუხერხოთ მედიის მონურ დამოკიდებულებას მმართველი კლანის მიმართ, რომელიც, სხვათა შორის, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის ჟურნალისტ მეუღლეს მოულოდნელად მწვავე კითხვების დასმის საფუძველს აძლევს ნაციონალების ,,ფეის“ გოკა გაბაშვილისთვის, როგორ დაუბრუნოს კონკურენტული გარემო ოპოზიციას მმართველმა პარტიამ, როგორ დაელაპარაკოს აფხაზებსა და კრემლს, როცა სააკაშვილი დღე არ გავა, ,,პუწინის“ ლანძღვით არ იფხანდეს გულს. ერთი სიტყვით, ეს ხელისუფლება წამსვლელია და ეს დასავლეთმაც დაინახა, მთავარია, როგორ წავა — სისხლით თუ უსისხლოდ.

# არასამთავრობოები „თრიალეთის“ მხარდასაჭერად ერთიანდებიან

შორენა გონგლაძე

**არასამთავრობო ორგანიზაციები ტელეკომპანია „თრიალეთს“ სოლიდარობას უცხადებენ. ტელეკომპანიის მხარდამჭერი შეხვედრა გუშინ მედიაკავშირ ობიექტივში გაიმართა.**

შეხვედრა მედიაკავშირ ობიექტივის მიერ იყო ორგანიზებული. როგორც ირმა ინაშვილმა განაცხადა ,,თრიალეთი“ დაკომპლექტებულია თავისუფალი ჟურნალისტებით, ისინი თავისუფალ მედიას აძლიერებენ და სრულიად მედია მათ მიმართ სოლიდარული უნდა იყოს. ინაშვილი გამოდის ინიციატივით, რომ ეთერში სხვადასხვა მედიასაშუალებების ჟურნალისტებმა წაიყვანონ გადაცემები.

მისივე თქმით, ისინი აპირებენ ტელეკომპანიასთან დაკავშირებული ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაწოდონ.

როგორც ,,თრიალეთის“ დამფუძნებელმა, ბადრი ნანეტაშვილმა განაცხადა, ბოლო წლებია ტელეკომპანიაზე ზეწოლა სხვადასხვა ფორმებით ხორციელდება, თუმცა ბოლო პერიოდში ზეწოლები იმდენად სახიფათო ხასიათს იღებს, რომ ტელეკომპანიის დახურვის საშიშროება რეალური ხდება.

ტელეკომპანიაზე ზეწოლა რომ ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას უკვე მოდად აქვს გადაქცეული, ეს ამბავი ახალი არ არის, მაგრამ ბოლო დროს ხელისუფლებამ ზეწოლის ნაირსახეობებში ნამდვილად გადაამლაშა. ის ვინც ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ თრიალეთზე განხორციელებულ ზეწოლებს თვალს ადევნებდა, ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა, რატომ ეშინია ხელისუფლებას ასე ერთი პატარა რეგიონალური ტელევიზიის, რამდენად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ის დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული მაღალჩინოსნებისთვის, საინტერესოა რისი გაფუჭება შეუძლია ამ პატარა ტელევიზიას? ის ფაქტი, რომ ხელისუფლებას რეგოინებში სერიოზულად ,,უჭირს“, ეს ფაქტია, ამ გაჭირვებით ხელისუფლების უთავბოლობის წყალობით არაერთგზის დაწიოკებული გორი და მისი რაიონები აშკარად ლიდერობენ, ეს საბაბი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ტელეკომპანიაზე აქა-იქ წაკბენა გვერდზე გადადონ და უკვე მის დახურვაზე იზრუნონ. ეს საზრუნავი კი აქტიურ ფაზაში მას შემდეგ გადავიდა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი ტელეკომპანიის აქციების ნაწილის ყიდვას გეგმავს. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიის დირექტორმა ბადრი ნანეტაშვილმა აღნიშნული ინფორმაცია არაერთხელ უარყო, ხელისუფლებამ გული მაინც ვერ დაიმშვიდა და შანტაჟის საკმაოდ გაცვეთილ მეთოდებს მიმართა. აი, მაგალითად, ტელეკომპანიის ჟურნალისტ ლადო ბიჭაშვილის მობილურ ტელეფონზე შეურაცხმყოფელი მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა დაიწყეს. ხოლო ტელეკომპანის ხელმძღვანელებს ლადო ბიჭაშვილის შესახებ ბინძურ ჭორებს წერენ, რომ ის უშიშროების აგენტია და ტელევიზიის შესახებ ინფორმაციას სპეცსამსახურებს აწვდის და მისი სამსახურიდან განთავისუფლებას ურჩევენ.

ერთ-ერთი მოკლე ტექსტური შეტყობინება ეხება სპეცსამსახურების მიერ ტელეკომპანიის დარბევის შესახებ გაფრთხილებას.

„გავიგეთ, რომ თქვენ აწარმოებთ მოლაპარაკებებს ბატონ ბიძინა ივანიშვილთან იმასთან დაკავშირებით, რომ აპირებთ ტელეკომპანია თრიალეთის აქციების 40 პროცენტი მიყიდოთ მას, რომ შემდეგ დაგაფინანსოთ ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო გადაცემების მომზადებაში. ამას ჯერჯერობით ხმაური არ მოყოლია, თუმცა, როცა აყიოტაჟი ატყდება, შეიძლება გვიან იყოს (ტელევიზიის კართან შეიძლება კუდი, სოდი ან სპეცნაზი იდგეს.). შემდეგ ნუ იტყვით, რომ არავის გაუფრთხილებიხართ.“ აი, ასეთი კეთილისმსურველეები წუხდებიან ამ პატარა ტელევიზიისთვის, რომელიც ადგილობრივ ვარდოსან ხელისუფლებას ძვალივით აქვს წლებია გაჩხერილი.

ამ და სხვა მსგავსი შინაარსის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს ,,თრიალეთის“ წარმომადგენლები დაუფარავი ნომრიდან იღებენ, როგორც ტელეკომპანიაში აცხადებენ, ნომერი უკვე გადაცემულია სამართალდამცავი ორგანოებისთვის და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ჯერჯერობით არ ახმაურებენ.

,,თრილეთის“ ჟურნალისტის ლადო ბიჭაშვილის თქმით, ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის მეორე დღიდანვე დაიწყო, ბიჭაშვილი არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლების გაღიზიანება მის მიერ ივანიშვილთან დასმულმა კითხვამ გამოიწვია.

ლადო ბიჭაშვილმა შანტაჟისა და შეურაცხყოფის გამო საჩივარი შიდა ქართლის პროკურატურაში და სამხარეო პოლიციაში შეიტანა. ბიჭაშვილი საქმის გამოძიებას და აღნიშნულ შანტაჟში მონაწილე პირების კანონით დასჯას ითხოვს.

—შეურაცხყოფასთან ერთად არის შანტაჟი და მუქარა. ცდილობენ ჩემი რეპუტაციის შელახვას. მიმაჩნია, რომ ეს სმს ისტერია სპეცსამსახურებიდან მოდის და თუ ისინი არაფერ შუაში არ არიან, მაშინ ნომერი სახეზეა და გამოიძიონ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დაკავშირებულია ,,თრიალეთის“ ობიექტურ მუშაობასთან, — აცხადებს ბიჭაშვილი.

ბოლო აკორდი რამდენიმე დღის წინ ,,თრიალეთში“ მარეგულირებელი კომისიის რეიდი იყო. Mმარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლები ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებას ,,გამოეხმაურენ“, რომელიც ,,ალფა-კომის“ ყოფილი ტელეცენტრის მხრიდან პოლიტიკურ ზეწოლას ეხებოდა, ისინი ტელეკომპანიაში ჩართული კამერით შეიჭრნენ სიხშირეების შემოწმების საბაბით. ტელეკომპანიის დირექტორმა ჯონი ნანეტაშვილმა კომისიის წარმომადგენლებს ადგილზევე განუმარტა, რომ ისინი პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდნენ და ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო ,,თრიალეთის“ ობიექტურ მუშაობასთან.

ტელეკომპანიის სადამსჯელო ოპერაციას მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი გიორგი რატიშვილი ხელმძღვანელობდა.

ფაქტია, რომ ხელისუფლება საკმაოდაა შეშფოთებული და ბრძოლის მეთოდებს ამიტომაც ართულებს. თუ წინა წლებს გადავხედავთ, ამ შემთხვევაშიც ალბათ ხელისუფლება გამოვა გამარჯვებული, ვარდების თაიგულით მოსულმა ხელისუფლებამ ხომ თავისუფალ სიტყვებზე არაერთი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. სამწუხაროდ, ქართული მედია არასდრის ყოფილა ერთიანი, მოსყიდული, გაყიდული, თუ ნაციონალიზაციის სენშეყრილი ჟურნალისტიკა ყოველთვის იყო და იქნება ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საიმედო საყრდენი.

# მერკურის ხსოვნის კონცერტმა შიდსის წინააღმდეგ მებრძოლ ფონდებს 20 მილიონი შემატა



**ქუინი – ბრიტანული როკ-ჯგუფი, ფრედი მერკურის (ვოკალი, ფორტეპიანო), ბრაიან მეის (გიტარები, ვოკალი), ჯონ დიკონის (ბას გიტარა) და როჯერ ტეილორის (დასარტყამი ინსტრუმენტები, ვოკალი) შემადგენლობით. ჯგუფის პირველ ჩანაწერებში იგრძნობოდა პროგრესული როკის გავლენა. 1970-იან წლებში კი გადაერთო უფრო მეტად რადიოეთერზე ორიენტირებულ სიმღერებზე, რამაც მათ დიდი კომერციული წარმატება მოუტანა. ჯგუფის ერთგვარ ნიშნად იქცა ის, რომ იგი იყენებდა სხვადასხვა ჟანრის ელემენტებს, როგორიც არის ვოდევილი, გოსპელი, ელექტრონული მუსიკა და ფანკი.**

ბრაიან მეიმ და როჯერ ტეილორმა ერთმანეთი ჯგუფ „სმაილში" გაიცნეს. ფრედი მერკური, რომელიც ჯერ კიდევ ფაროჰ ბულსარა იყო, ამ ჯგუფის დიდი მოყვარული იყო და შესთავაზა მათ უფრო ფართო სცენაზე გასვლა. ფრედი მოგვიანებით შეუერთდა „სმაილს", შეუცვალა სახელი და სასცენო ფსევდონიმად, მერკური აირჩია. მეოთხე წევრი, ჯონ დიკონი ჯგუფს შეუერთდა პირველი ალბომის ჩაწერამდე. 1970-იან წლებში ჯგუფს წარმატება მხოლოდ გაერთიანებულ სამეფოში ჰქონდა, თუმცა რამდენიმე ალბომის შემდეგ საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა ალბომი, რომელშიც შეტანილია სიმღერა „ბოჰემური რაფსოდია". აღსანიშნავია, რომ ეს ჰიტი გაერთიანებულ სამეფოს ჩარტის პირველ ადგილზე 9 კვირის მანძილზე იმყოფებოდა. 1991 წელს მერკური გარდაიცვალა ბრონქოპნევმონიის დიაგნოზით, რომელიც შიდსი-ს შედეგად განვითარდა. 1997 წელს დარჩენილი სამეული დიკონმა დატოვა. ამ პერიოდიდან მხოლოდ მეი და ტეილორი კვლავ თანამშრომლობდნენ. აღსანიშნავია მათი გაერთიანება პოლ როჯერსთან.

მთლიანი ისტორიის მანძილზე გამოვიდა ჯგუფის 18 ალბომი, გაიყიდა „ქუინის" 150 მილიონ დისკზე მეტი ასლი. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ეს რიცხვი 300 მილიონს აღემატება, რის შედეგადაც იგი ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად მუსიკალურ ჯგუფად. რამდენჯერმე გადაეცა აივორ ნოველოს სახელობის ჯილდო. 2001 წელს ჯგუფი შეყვანილი იქნა როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში.

**პირველი წლები – 1968-74**

1968 წელს ლონდონის იმპერიული კოლეჯის სტუდენტმა ბრაიან მეიმ და ბას-გიტარისტმა ტიმ სტეფელმა გადაწყვიტეს, მუსიკალური ჯგუფი ჩამოეყალიბებინათ. მეიმ კოლეჯში, დაფაზე გამოაქვეყნა განცხადება მიჩ მიჩელის და ჯინჯერ ბეიკერის სტილის დრამერის ძიების შესახებ. განცხადებას, რამდენიმე სხვა მსურველთან ერთად, გამოეხმაურა როჯერ ტეილორი, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა. ჯგუფმა დაირქვა „სმაილი".

ილინგის ხელოვნების კოლეჯში ტიმ სტეფელი დაუმეგობრდა ფაროჰ ბულსარას, რომელსაც ყველა ფრედის ეძახდა. ბულსარამ იცოდა, რომ მასსა და ჯგუფს ერთნაირი გემოვნება ჰქონდათ და მუსიკოსებთან მეგობრობდა. 1970 წლის ბოლოს სტეფელმა დატოვა კოლექტივი და მის ნაცვლად მივიდა ფრედი. მისი იდეით ჯგუფმა დაირქვა „ქუინი".

– ეს სახელი მოვიფიქრე. ეს მხოლოდ სახელია, მაგრამ მეტად მეფური და ჩინებულად ჟღერს. ეს ძლიერი სახელწოდებაა, მეტად უნივერსალური და უშუალო. მას დიდი ვიზუალური პოტენციალი აქვს და სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ვიცოდი, რომ ამას ჰომოსექსუალურ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ, მაგრამ ეს მისი მხოლოდ ერთი მხარე იყო, – ასე ხსნიდა მერკური ამ სახელის დარქმევის იდეას.

ამ პერიოდში ჯგუფთან მუშაობდა რამდენიმე ბას-გიტარისტი, რომელთა შესრულების სტილი არ მოერგო და უარის თქმა მოუხდათ. 1971 წლის თებერვალში მათ არჩევანი ჯონ დიკონზე შეაჩერეს და დაიწყეს სადებიუტო სტუდიური ალბომისათვის მზადება.

დიკონის მისვლის შემდეგ ჯგუფმა თავისი ლოგოც შექმნა, რომლის იდეაც მერკურის არის – ჯგუფის წევრების ასტროლოგიური ნიშნებისა და სხვა სიმბოლიკის გამოყენებით. ეს პირველი ალბომის გამოშვებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. ყველა სიმბოლოს თავისი მნიშვნელობა აქვს – ორი ლომი ჯონს და როჯერს აღნიშნავს, კიბორჩხალა – ბრაიანს, ორი ფერია კი – ფრედის.

მთლიანობაში ლოგო გაერთიანებული სამეფოს გერბთან ასოციაციებს იწვევს, განსაკუთრებით, ლომების გამო.

1973 წელს გამოცემულ პირველ ალბომში ჰევი მეტალისა და პროგრესული როკის გავლენა იგრძნობოდა და კრიტიკოსებმა დადებითი შეფასება მიანიჭეს. გორდონ ფლეტჩერი ჟურნალიდან როლინგ სტოუნი აღნიშნავდა, რომ მათი სადებიუტო ალბომი ჩინებულია, ხოლო „დეილი ჰერალდის" მიმომხილველმა საშუალოზე უფრო მაღლა მდგარი დებიუტი უწოდა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ალბომს წარმატება არ ჰქონია, ხოლო წამყვანი სინგლი უფრო წარუმატებელი აღმოჩნდა.

ჯგუფის მეორე ალბომი 1974 წელს გამოვიდა და ბრიტანულ ჩარტში მე-5 პოზიცია დაიკავა. ქუინისათვის ეს იყო პირველი ალბომი, რომელიც სამშობლოში წარმატებით სარგებლობდა. საერთოდ მიჩნეულია, რომ ეს ალბომი წარმოადგენს ოთხეულის ჟღერადობით ყველაზე მძიმე და ბნელ ალბომს, რომელშიც გამოკვეთილია ვრცელი ინსტრუმენტული პასაჟები, ფენტეზის გავლენით დაწერილი ტექსტები და მუსიკალური ვირტუოზობა.

**პირველი წარმატება – 1974-76**

ჰეპატიტის გამო ბრაიან მეიმ დროებით დატოვა ჯგუფი და მხოლოდ ახალი ალბომის სტუდიური სესიების მუშაობის დროს დაუბრუნდა. მასთან ერთად გამოვიდა ახალი დისკი 1974 წელს და გამოსვლისთანავე მოხვდა გაერთიანებული სამეფოს ჩარტის მე-2 პოზიციაზე. დისკი კარგად იყიდებოდა ევროპაში, ხოლო აშშ-ში სულაც ოქროს სტატუსი შეიძინა. ჯგუფისთვის ეს იყო კომერციული წარმატების პირველი მაგალითი. მასში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ჟანრი, როგორიც არის ბრიტანული მიუზიკ ჰოლი, ჰევი მეტალი, ბალადები, რეგტაიმი და კარიბული ჰანგები. ჩანდა, რომ ჯგუფი უკვე უარს ამბობდა წინა ორი ალბომის პროგრესული როკის ტენდენციებზე.

1975 წელს ჯგუფმა დაიწყო მსოფლიო საკონცერტო ტური. ყოველი წევრი გამოწყობილი იყო ზენდრა როუდსის მიერ შექნილ კოსტუმებში, სცენა კი გამდიდრებული იყო ეფექტებით. აშშ-ში ჯგუფი კონცერტების მთავარი სტუმრის სახით გამოდიოდა. აგრეთვე გაიმართა მათი პირველი გამოსვლები კანადაში. აპრილში, იაპონიაში გამართული ტურის პერიოდში, მათმა მენეჯერმა ჯიმ ბიჩმა დაასრულა ჯგუფის ურთიერთობა სტუდია „ტრიდენტთან" და მისი ადგილი, მრავალი გზის ძიების შედეგად, დაიკავა ელტონ ჯონის მენეჯერმა, ჯონ რიდმა. საგულისხმოა, რომ მანამდე „ქუინით" დაინტერესდა „ლედ ზეპელინის" მენეჯერი, პიტერ გრანტი, თუმცა მისი პირობები ჯგუფის წევრებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

1975 წლის ბოლოს „ქუინმა" გამოსცა ალბომი „ღამე ოპრაში", რომელიც ძმები მარქსების ამავე სახელწოდების ფილმიდან გამომდინარეობდა. ბიუჯეტიდან გამომდინარე, ალბომი იმ დროისათვის ყველაზე ძვირადღირებული ჩანაწერი იყო. როგორც მისი წინამორბედი, ალბომი იყენებს სხვადასხვა მუსიკალურ სტილებსა და ექსპერიმენტებს სტერეო ჟღერადობასთან. ალბომს დიდი წარმატება ჰქონდა ბრიტანეთში, ხოლო აშშ-ში მან სამმაგი პლატინის სტატუსი შეიძინა. 2004 წელს ბრიტანელ მსმენელებს შორის ჩატარებულ გამოკითხვაში კი ყველა დროის საუკეთესო ალბომების სიაში მე-13 ადგილი მიენიჭა.

აღსანიშნავია კომპოზიცია „ბოჰემური რაფსოდია", რომელიც ბრიტანეთის ჩარტში ცხრა კვირის მანძილზე 1 პოზიციაზე იმყოფებოდა და მრავალჯერ იქნა დასახელებული ყველა დროის უდიდეს სიმღერად.

ჯგუფმა გადაწყვიტა ამ ჰიტისთვის პრომო-ფილმი გადაეღო, რის შედეგად მიღებულ კადრებს თვლიან მუსიკის ისტორიაში რიგით პირველ ნამდვილ მუსიკალურ კლიპად. მართალია, პრომო-ფილმების ტრადიცია ჯგუფ „ბითლზის" დროსაც არსებობდა, მაგრამ ეს ფილმები მხოლოდ გარკვეული გადაცემებისათვის მზადდებოდა.

**მეორე წარმატება – 1976-1979**

1976 წლისათვის ჯგუფი დაუბრუნდა სტუდიას და ჩაწერა ალბომი „დღე რბოლებზე", რომელიც ხშირად „ღამე ოპერაში" გაგრძელებად მიიჩნევენ. ამ შემთხვევაშიც ძმები მარქსების ფილმის სათაური იქნა გამოყენებული. კრიტიკოსებმა ალბომს ძლიერი მიღწევა უწოდეს. ალბომი მოხვდა გაერთიანებული სამეფოსა და იაპონიის ჩარტების პირველ ადგილზე, ხოლო აშშ-ში მე-5 პოზიცია ერგო. ამ ჩანაწერისათვის მერკურიმ, მეიმ და ტეილორმა საკუთარი ვოკალი 100-ჯერ გაამრავლეს, რათა გოსპელური გუნდის ეფექტი შეექმნათ.

იმავე წელს ჯგუფი გამოვიდა ლონდონი ჰაიდ პარკის უფასო კონცერტზე, სადაც მის შოუს 150.000 მსმენელი დაესწრო.

„ქუინის" მეექვსე ალბომი 1977 წელს გამოვიდა, რომელსაც აშშ-ში მას ოთხმაგი, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში ორმაგი პლატინა მიენიჭა. ალბომში შეტანილი იქნა უამრავი სიმღერა, რომელიც გათვლილი იყო საკონცერტო შესრულებებზე, მათ შორის, როკ მუსიკის ცნობილი ჰიტი, „ჩვენ ჩემპიონები ვართ", რომელმაც აშშ-ს ჩარტში მე-4 ადგილი დაიკავა.

1978 წელს ჯგუფმა გამოსცა შემდეგი დისკი „ჯაზი", რომელშიც შეტანილი იქნა ჰიტებად ქცეული სიმღერები. ახალ ალბომს ახლდა მარკეტინგული კამპანიის საოცარი ნიმუში – 65 შიშველი ქალი ჰელფორდის ველოსიპედებით უიმბლდონის სტადიონზე დარბოდა. სიტყვა „ჯაზი" ალბომის სათაურში არა პირდაპირი, არამედ ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენებოდა – ხაზგასმა ალბომის ექსპერიმენტული ხასიათისა. კრიტიკოსებმა ალბომი განსაკუთრებულად აღნიშნეს, როგორც სხვადასხვა სტილის შემცველი, სადაც ჯაზი ნამდვილად არ შედიოდა. თუმცა, ჟურნალმა „როლინგ სტოუნმა" გააკრიტიკა და სულელური უწოდა. ჟურნალი აღნიშნავდა, რომ „ქუინსს" ჯაზის შესასრულებლად ფანტაზია არ ეყოფა და აქედან გამომდინარე, ვერც როკ-ენ-როლს ასრულებს.

1979 წელს გამოვიდა ჯგუფის პირველი ცოცხალი ალბომი, რომელმაც აშშ-ში ორმაგი პლატინის სტატუსი შეიძინა.

**ახალი ჟღერადობა და სინთეზატორები – 1980-1984**

1980-იანი წლები ჯგუფის ისტორიაში გაიხსნა სტუდიური ალბომით „თამაში". მასში შეტანილია სიმღერები. ორი სიმღერა აშშ-ში 1 პოზიციაზე მოხვდა. ალბომი ხუთი კვირის მანძილზე მოექცა ბილბორდის 200-ეულის სათავეში და შტატებში ოთხ მილიონზე მეტი ასლის ოდენობით გაიყიდა. ამ ალბომზე Queen-მა პირველად გამოიყენა სინთეზატორები. საგულისხმოა, რომ მანამდე ჯგუფის ალბომების ანოტაციებში ყოველთვის ეწერა – არავითარი სინთეზატორები!

1981 წელს დაიწყო „ქუინის" საკონცერტო ტური, რითაც ჯგუფი იქცა პირველ მნიშვნელოვან როკ ჯგუფად, რომლის ტური ლათინური ამერიკის სტადიონებზე ჩატარდა. სამხრეთ ამერიკული ტური მოიცავდა არგენტინის ხუთ კონცერტსაც. ბუენოს-აირესში „ქუინის" შოუს 300.000 მსმენელი დაესწრო – ეს არგენტინის ისტორიაში ერთგვარი რეკორდი იყო. ბრაზილიაში ჩატარდა ორი კონცერტი – პირველ დღეს 130.000, ხოლო მეორე დღეს – 120.000 მსმენელის დასწრებით. იმავე წლის ოქტომბერში „ქუინი" გამოვიდა მონტერეისა (150.000 მაყურებელი) და მექსიკაში.

1981 წელსვე გამოვიდა „ქუინის" პირველი ოფიციალური კრებული „უდიდესი ჰიტები". ბრიტანული ალბომის ისტორიაში იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბესტსელერია. კრებული მთლიანობაში ამ ქვეყნის ჩარტში 450 კვირის მანძილზე იმყოფებოდა. აშშ-ში მას მინიჭებული აქვს რვა გზის პლატინა. მსოფლიო მასშტაბით იგი გაყიდულია 25 მილიონი ასლის ოდენობით. პარალელურად, იმავე წელს, ტეილორი იქცა ჯგუფის პირველ წევრად, რომელმაც სოლო ალბომი გამოსცა.

1982 წელს გამოვიდა ალბომი, რომელშიც ჯგუფი კიდევ უფრო მეტად განერიდა 1970-იანებში ტრადიციად ქცეულ ჟღერადობას – ამჯერად როკის, პოპ როკის, ფანკისა და რითმ-ენდ-ბლუზის აღრევით.

1984 წელს გამოვიდა ახალი სტუდიური დისკი „მსოფლიო", რომელშიც მოხვდა შემდგომში წარმატებული სინგლები „რეიდო გაგა" და „თავისუფლება მსურს". ერთია, შტატებში ალბომმა არ გაამართლა, მაშინ, როცა იმ დროს, როდესაც გაერთიანებულ სამეფოში სამმაგი პლატინა მიენიჭა და ალბომების ჩარტში კიდევ 2 წლის მანძილზე იმყოფებოდა.

ამ წელს გადაწყდა ახალი ტურის ჩატარება. ეს იყო პირველი ტური, რომელზეც ჯგუფთან დამატებითი მუსიკოსის სახით გამოჩნდა სპაიკ ედნი (კლავიშიანი ინსტრუმენტები). ტურის ფარგლებში „ქუინი" ასევე გამოვიდა სამხრეთ აფრიკაში, რის გამოც ინგლისში დაბრუნებისთანავე გააკრიტიკეს, ვინაიდან აფრიკაში ამ დროს აპარტეიდი მძვინვარებდა, რითაც ჯგუფმა დაარღვია ქვეყნის იზოლაციაში მოქცევის შესახებ შეთანხმება. კრიტიკოსებს „ქუინმა" უპასუხა განცხადებით, რომ ამ ქვეყანაში ისინი მხოლოდ მუსიკის მოყვარულთათვის უკრავდნენ.

1985 წლის იანვარში ჯგუფი გამოვიდა რიო-დე-ჟანეიროში. 11 და 18 იანვარს შედგა მისი კონცერტები 300.000 მაყურებლის წინაშე. იმავე წლის 13 ივლისს უემბლის სტადიონზე შედგა საერთაშორისო საკონცერტო მარათონი, რომელზეც Queen-მა თავისი ჰიტები შეასრულა.

1986 წლის დასაწყისში ჩაიწერა ალბომი, რომელშიც მოხვდა რეჟისორ რასელ მალკეის ფილმისათვის „მთიელი" დაწერილი სიმღერების გადამუშავებული ვერსიები.

იმავე წელს დაიწყო ახალი წარმატებული ტური კვლავ სპაიკ ედნის მონაწილეობით. ტურის პიკი იყო ჯგუფის გამოსვლა უემბლის სტადიონზე, რაც აღბეჭდილია ცოცხალ ალბომზე „ქუინი უემბლიზე", რომელიც ასევე ფილმის სახით გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ უემბლის სამი საღამოს მანძილზე დაკავება შეუძლებელი იყო, მესამე საღამოს შედგა გამოსვლა ნებუორთში – მასზე დასასწრები ბილეთები 2 საათში გაიყიდა. კონცერტს სულ 120.000 მსმენელი დაესწრო. შემდგომში ეს აღმოჩნდა Queen-ის უკანასკნელი გამოსვლა მერკურისთან ერთად.

ტურის ფარგლებში ასევე შედგა „ქუინის" გამოსვლა რკინის ფარდის მიღმა, ბუდაპეშტში, სადაც მათ შოუს 80.000 მსმენელი დაესწრო – იმ დროისათვის ეს იყო აღმოსავლეთ ევროპაში გამართული ერთ-ერთი დიდი როკ-კონცერტი.

1988 წელს განახლდა მუშაობა სოლო პროექტებზე. ფრედი მერკურიმ მონსერატ კაბალიესთან ერთად ჩაწერა ალბომი „ბარსელონა". 1989 წელს ჯგუფი დაუბრუნდა სტუდიას და მუშაობდა ახალ ალბომზე „სასწაული", რომლითაც დაიწყო ცვლილებები ჯგუფში სიმღერების საავტორო ფილოსოფიის მხრივ. ოთხეულის დაარსების დღიდან, თითქმის ყველა სიმღერის ავტორს წარმოადგენდა ერთი წევრი, ხოლო დანარჩენების წვლილი მინიმალური იყო.

**მერკურის გარდაცვალება**

1988 წელს მსმენელებმა შეამჩნიეს, რომ ფრედის გარეგნობა უარესისკენ შეიცვალა, იგი საგრძნობლად გამხდარი ჩანდა. წარმოიშვა ვარაუდები, თითქოს იგი შიდსის ვირუსით იყო დაავადებული. მერკურიმ ეს ჭორები უარყო და აღნიშნა, რომ იგი ზედმეტად დაუძლურებული იყო და არ შეეძლო ამ საკითხზე ინტერვიუებში საუბარი. არადა, ჭორები ახლოს იყო სიმართლესთან. მიუხედავად იმისა, მერკური ებრძოდა სიკვდილს, წამყვანი ვოკალისტი კვლავ მუშაობდა სტუდიაში. უკანასკნელი ორი ალბომის შექმნის პერიოდში სიმღერების ავტორებად მითითებული იყო ჯგუფის ოთხივე წევრი და არა რომელიმე ცალკე მონაწილე, რამაც მათ ჯგუფში კონფლიქტები და აზრთა სხვადასხვაობები ააცილა.

1991 წლის 23 ნოემბერს, სპეციალური განცხადებით, მერკურიმ დაადასტურა, რომ შიდსის ვირუსით იყო დაავადებული. 24 საათის განმავლობაში ბრონქოპნევმონიამ, რომელიც წარმოიშვა ვირუსის საფუძველზე, მძიმე ფორმები შეიძინა და მერკური გარდაიცვალა. სამგლოვიარო ცერემონია, რომელიც დასავლეთ ლონდონში შედგა, დახურულ სახეს ატარებდა და ტარდებოდა მის ოჯახში დამკვიდრებული ზოროასტრიზმის წესების თანახმად.

1992 წლის 20 აპრილს უემბლის სტადიონზე ჩატარდა ფრედი მერკურის ხსოვნის კონცერტი, რომელსაც 72.000 მსმენელი დაესწრო. შემსრულებლებს შორის იყვნენ „დეფ ლეპარდი", „განზ ენდ როუზი", ელტონ ჯონი, დევიდ ბოუი, ენი ლენოქსი და „მეტალიკა", ასევე ჯგუფის სამი დარჩენილი წევრი. გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნი აღნიშნავს, რომ ეს შოუ იყო ყველა დროის უდიდესი საქველმოქმედო როკ-კონცერტი, ვინაიდან იგი მსოფლიო მასშტაბით 1.2 მილიარდმა მაყურებელმა იხილა, ხოლო მისმა შემოსავალმა შიდსის ვირუსთან ბრძოლის ფონდებს 20.000.000 გირვანქა სტერლინგი მოუტანა.

# ბორის ბედია: „ვცდილობ ჩემთვის დაწერილი სიმღერები ვიმღერო“



ეკა ირემაშვილი

განსაკუთრებული ხმის მქონე მომღერალი საქართველოში ბორის ბედია თბილისის ბიგ ბენდთან ერთად მასშტაბურ ევროპულ ტურნეს იწყებს, რომელიც სტარტს უკრაინიდან აიღებს. როგორც ბორის ბედიამ უკრაინაში გამგზავრებამდე გვითხრა, 19 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით უკრაინის ქალაქებში წლის საუკეთესო ორკესტრი ევროპაში თბილისის ბიგ ბენდი და სოლისტები ოლგა კრიუკოვა და ბორის ბედია ფართო საზოგადოებას წარუდგენენ ახალ პროგრამას „საზღვრებს გარეშე“. ევროპული ტურნეს საკონცერტო პროგრამა მრავალფეროვანია – მასში გაერთიანებულია სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა დროის მუსიკა.

თბილისის ბიგ ბენდი დედაქალაქის საკონცერტო ორკესტრია. მისი დირიჟორი გივი გაჩეჩილაძეა, რომელიც მსოფლიოს 100 საუკეთესო დირიჟორთა სიაშია. მაესტრო ასევე შეტანილია მსოფლიოს მუსიკალურ ენციკლოპედიაში.

ბორის ბედიას, ოლგა კრიუკოვასა და თბილისის ბიგ ბენდის საკონცერტო ტურნე 19 ნოემბერს ჩერნიგოვში იწყება, რომელსაც შეენაცვლებიან უკრაინის ქალაქები – კიევი, ჟიტომირი, ოდესა, ტერნოპოლი, ჩერკასი, ვინიცა, ხმელნიცკი, ივანო-ფრანკოვსკი, ლვოვი და დონეცკი, ხოლო საკონცერტო ტურნე 2 დეკემბერს ლუგანსკში დასრულდება.

ბიგ ბენდი და მუსიკოსები საკონცერტო ტურნეს დასაწყებად საქართველოდან 16 ნოემბერს გაემგზავრებიან. „ახალი თაობა“ ბორის ბედიას საქართველოს დატოვებამდე ესაუბრა.

**ბორის ბედია:**

– ეს მოვლენა ჩემს ცხოვრებაში ძალიან მაგარი მომენტია. სამწუხაროდ, ბატონი გივი გაჩეჩილაძე ვერ მოდის, გულთან მაქვს პრობლემებიო. უკრაინა ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და იქ ჩასვლა ყოველთვის მიხარია.

***– არის ისეთი ქალაქი, სადაც პირველად ჩახვალთ?***

– კიევში უკვე მეოთხედ ჩავალ, დანარჩენ ქალაქებს პირველად ვესტუმრები. ჩემთან ერთად კონცერტებზე სოლისტია ოლგა კრიუკოვა, რომელიც ძალიან კარგი ადამიანია.

***– მას ამ ტურნემდე იცნობდით?***

– როდესაც გასულ წელს მოლდოვაში გრან-პრი ავიღე, იქიდან წავედი კიევში, ჩვენს ორკესტრს შევუერთდი. ჩვენი კონცერტი საქართველოს დღეებს ეძღვნებოდა. იქ მოგვისმინა ამ ქალმა, გაგიჟდა და გადაირია და გამოთქვა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი.

***– პირადად თქვენ მოეწონეთ?***

– სოლისტებზე ნამდვილად არ გაგიჟებულა, ერთადერთი თუ გაგიჟდა, მარტო ჩემზე. რაც შეეხება ორკესტრს, იქ ნამდვილი პროფესიონალები არიან. ყველა თავისი საქმის უბადლო მცოდნეა. ბატონი გივი გაჩეჩილაძე ხომ საერთოდ, ლეგენდაა, ეს არის კაცი-მუსიკა.

***– ბიგ ბენდთან დიდი ხანია თანამშრომლობთ?***

– 2004 წლიდან. „ჯეოსტარის“ პერიოდში, შევეშვი ორკესტრთან ურთიერთობას. „ჯეოსტარი“ ჯეოსელის პროექტი იყო, მეც, როგორც პროექტის წევრს, გაფორმებული მქონდა ხელშეკრულება, ორკესტრმა კი მაგთისთან გააფორმა ხელშეკრულება. ახლა, როგორც კი კონტრაქტი დამიმთავრდა ჯეოსელთან, მათაც ამოეწურათ კონტრაქტი მაგთისთან და ისევ შევიკრიბეთ. მაინც ერთმანეთისთვის ვართ.

***– რამდენწლიანი კონტრაქტი გქონდათ ჯეოსელთან?***

– სამწლიანი კონტრაქტი მქონდა, თუმცა არაფერი განსაკუთრებული, ხელფასს არ მიხდიდნენ და არაფერი, ისინიც არაფერში მბლოკავდნენ, უფრო სიტყვიერი შეთანხმება გვქონდა. მათი ძირითადი მოთხოვნა ის იყო, რომ მაგთისთან არ უნდა მეთანამშრომლა. ახლა უკვე გამივიდა ვადა და მაგთისთან კი არა თუ კარგად გადამიხდიან ბილაინთანაც ვითანამშრომლებ.

***– თქვენი და, სოფო თუ მოდის თქვენთან ერთად?***

– სოფო ორკესტრში არ არის, ამიტომ ის ჩვენთან ერთად არ წამოვა. სოფო მაინც ქალია, ჩვენს კონცერტსაც ქალი აკეთებს და მას კონკურენტი ქალი არაფერში სჭირდება. კარგი თუ ცუდი კონკურენტია, მაინც არ სჭირდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

***– რაიმე მნიშვნელოვან საქმეებს ხომ არ ტოვებთ თბილისში?***

– არაფერს განსაკუთრებულს. მე ვმღერი რესტორან „კრუიზში“, იქ ჩემი დიდი ბანერიც არის გამოკრული. საღამოობით მაქვს კონცერტები – ხუთშაბათს და პარასკევს.

***– როგორია სარესტორნე რეპერტუარი?***

– ყველანაირი – ქართული, ესპანური, იტალიური, უკრაინული, ინგლისური, რუსული ებრაული.

***– „ქვინს“ არ მღერით ხოლმე?***

– „ქვინი“ რესტორანს არ უხდება. თან მირჩევნია უფრო ჩემთვის დაწერილი სიმღერები ვიმღერო, ვიდრე რომელიმე ჰიტი. რაც არ უნდა ცუდად ან კარგად იმღერო სიმღერა, ის მაინც უკვე „ქვინისაა“ და შენი ნამღერი შაბლონი გამოდის.

***– თქვენთვის ბევრი წერს სიმღერებს?***

– ძალიან კარგი სიმღერები მაქვს. ვაპირებ კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მიღებას.

***– საქართველოში?***

– საქართველოში აღარ დარჩა არანაირი კონკურსი და სად მივიღო მონაწილეობა?! ერთი ის კონკურსი მახსენდება „გოლდენ ტალანტი“, რომელიც არის სრული დეგენერატობა. ამას ვიტყვი იმიტომ, რომ ჯერ რა სუსტი მომღერლები იყვნენ და ჩვენი მომღერალი ხომ საერთოდ, მაგრად გაბანძდა. ესეთი კონკურსები, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არც უნდა ტარდებოდეს, იმიტომ რომ ჩვენთან შოუბიზნესი არ არსებობს. იურმალას რომ ეჯიბრებიან, იურმალა რუსეთის გაპიარებულია, თორემ იურმალა ამ კონკურსს მარტო თავისი ხარჯებით არც გააკეთებდა. ამ კონკურსში უდიდესი ფული იდება. ჩვენ სამი მილიონიც არ ვართ, უმეტესობა უცხოეთშია გასული. ადრე თუკი ჩვენი საზოგადოება დახვეწილი და გემოვნებიანი იყო, ახლა ამ მხრივ საშინელი მდგომარეობაა. 100 პროცენტიდან, შეიძლება 12-13 პროცენტი უსმენდეს კარგ, გემოვნებიან, დახვეწილ მუსიკას. არ ვიცი, რა სჭირს ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას. უკრაინელების და უცხოელებს ქეიფზე გაოცებული ვარ, მართლა იციან დროსტარება, ბოლომდე იხარჯებიან სიყვარულში. ასე ვარ მეც. ქართველების უმეტესობას რომ ვუყურებ, (კარგებმა რა დააშავეს, მათ არ ვეხები) სვამენ, თან უცდიან მომენტს, რომ დათვრნენ, მერე ერთმანეთს დაერიონ და დაჩეხონ. ეს აქვთ გულში ჩადებული, ასეთი ბოროტება დევს მათ სულში.

***– ეს ყველაფერი რესტორანში მუშაობის შემდეგ დაინახეთ?***

– მარტო რესტორანს არ ეხება. ზოგადად არის ასე. დღეს რომ სერიოზულ კლუბებს ეძახიან – ქალაქური, თუ საიდი – დადიან გემოვნებიანი და ჯიგარი ადამიანები. ყველამ მაპატიოს, ღმერთმაც მაპატიოს, მაგრამ ხომ არის შარდენი, ვითომ სვეცკებად რომ მოაქვთ თავი იქ მოსიარულეებს, ჩემი ხედვით ეს არის გოიმების ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავშეყრის ადგილი. ვინც იქ არ ყოფილა, არც არაფერი დაუკარგავს. შარდენზე მარიაჟობის გამოფენაა – ვის რა ტუფლი აცვია, ვის რა შარვალი აცვია. მე მარიაჟობისგან შორს ვარ. ჩემთვის ის არის მოდური, რაც მიხდება. იმას ვიცვამ, რაც მომწონს.

***– ანუ, ვერ ყვებით „სვეცკი“ სასტავს?***

– მაგათთან შედარებით სვეცკიც ვარ, განათლებულიც და ცოტა მეტიც. მე ადამიანს ჩაცმულობით არ ვაფასებ, ჩემთვის ღირებული სულ სხვა რამ არის. ეგენი ადამიანს მხოლოდ ტანსაცმლით აფასებენ. ევროპაში ერთი ადამიანი ვნახე, ჩემმა მეგობარმა მითხრა, ეგ მილიარდერიაო. იცით რა უბრალოდ ეცვა? დაუჯერებელი იყო, რომ მილიარდერი იყო. ჩვეულებრივი ადამიანივით ეცვა. მაგას ამ ჩაცმულობით შარდენზე რომ გაევლო, დასცინებდნენ. თან იმას იმდენი ფული აქვს, ამათ ჯიშს და ჯილაგს რომ არ დაესიზმრება.

***– თქვენი აზრით, რა გვჭირს ქართველებს?***

– არასრულფასოვნების კომპლექსი გვაწუხებს ნამეტნავად. ჩემს ახლობლებს აქვთ თბილისში მაღაზიები, სადაც იტალიური, თურქული მაგარი ხარისხის ტანსაცმელი ჩამოაქვთ. ისინი რომ აქ ჩაიცვა, იტყვიან, ან ქაჯია, ან გოიმი ან ცისფერიაო. დღეს რომ დადიან ე.წ. ლოხები საქართველოში, თავი რომ რაღაც გონიათ, აცვიათ ყველაზე გოიმურად და ქაჯურად. ეგეთები ყოველ წამს მხვდება ჩვენს ქალაქში.

***– ბორის, მკითხველს განუმარტეთ, რა არის ლოხი?***

– ეგეც უბედურებაა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ იცის, რას ნიშნავს ლოხი. უცხოურად ეს სიტყვა ფრაერს ნიშნავს. ლოხი არის ადამიანი, რომელიც არაფერს წარმოადგენს ცხოვრებაში და მარტო იმით ცხოვრობს, რომ ვიღაც აკრიტიკოს და გალანძღოს. ამ დროს კი თვითონ არის ყველაზე დიდი გაუთლელი ხეპრე და გოიმი. აი, ეს არის ლოხი.

***– ბევრია ჩვენში ასეთები?***

– რა თქმა უნდა. ამ ყველაფერს იწვევს გაუნათლებლობა, უსწავლელობა, ადამიანები წიგნს არ კითხულობენ, ინტერნეტი იმისთვის უნდა გამოიყენო, გაიგო, რა ხდება მსოფლიოში. ესენი კი ძირითადად იყენებენ სექსისთვის, ინტერნეტი ძირითადად „აზაბოჩენი“ ხალხისთვის არის. ცოდოა ასეთი ხალხი.

***– რაში ხედავთ გამოსავალს?***

– ერთადერთი ღმერთი თუ გვიშველის, თორემ ამ საქმეს არც პრეზიდენტი უშველის და არც პრემიერ-მინისტრი.

***– რა გაღიზიანებთ?***

– უვიცობა და ტყუილი. არ მიყვარს როცა ადამიანები ერთმანეთს ზემოდან უყურებენ. მე მომღერალი ვარ, ფეისი ვარ. ვიცი, რომ როგორც გამვლელს აცვია, ისე არ უნდა მეცვას. რაღაცით ხომ განვსხვავდები – იმიჯით, პროფესიით. კარგი, ამაზე ჭორაობას კიდევ ავიტან, მაგრამ არ უნდა შეეხო ჩემს ორიენტაციას.

***– ეხებიან ხოლმე?***

– არ ვიცი, მე არ გამიგია. თუ ჩემზე იტყვიან ასეთ რამეს, ამის მთქმელი ან არაქრისტიანი უნდა იყოს, ან მართლა პიდარასტი უნდა იყოს. არ არის სატრაბახო, რომ ბაბნიკი კაცია. ეს ადრე იყო საამაყო, ვინ რამდენ ქალთან იყო ნამყოფი. ეს ახლა სისულელეა. მე არ ვითვლი რამდენი ქალი მყავდა, ვინც საჭიროა, ყველასთანაც მივდივარ, ვინც არ არის საჭირო, არანაირ ურთიერთობას არ ვამყარებ და თავიდან ვიშორებ ზრდილობიანად. არ მინდა ვინმე განვიკითხო, მაგრამ ცხოვრებაში ერთადერთი ცისფერების დაუძინებელი მტერი ვარ.

***– რას ერჩით?***

– გამაღიზიანებლობაა ეს ჩემთვის, მაგრამ არ განვიკითხავ, განვერიდები ხოლმე.

***– მათთან ურთიერთობა გქონიათ?***

– სუფრასთან მოხდა ერთხელ შემთხვევა. კაცს გავდა თავიდან, დათვრა და მერე გაეხსნა ცისფერობა. გეფიცებით, ძლივს გამაგლიჯეს ხელიდან.

***– თავს გესხმოდათ?***

– არა, მაგრამ გიჟები არიან მაგათი დედაც ვატირე.

***– შეგეშინდათ?***

– ხომ გეუბნებით, ძლივს გამომართვეს ხელიდან-მეთქი. მგონი, თვითონ უფრო შეეშინდა, ალვირახსნილ მხეცს ვგავდი. რემბო არა ვარ, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება ეს შემთხვევა. ჩემი ტანის იყო, ცოტა ჩემზე მოშნი, მაგრამ ისეთი ვლეწე, გავასრიალე. თან გამიგია, რომ აგინებ, მრავლდებიანო და ამიტომ აღარც ვაგინებ. არავის არაფერს დავუშავებ, მასეთებს უბრალოდ ვერიდები. როცა ვქეიფობ და ამ დროს ადგება ვიღაც ციცინო კაცი, ნამდვილად არ არის სასიამოვნო.

***– ხშირად სვამთ?***

– არა. თუ დავლევ იშვიათად ღვინოს, არაყი ცხოვრებაში არ დამილევია. უფრო კონიაკი და ვისკი მიყვარს. რომ დავლევ, ჩემზე კეთილი ადამიანი არ არსებობს. ადამიანი რომ თვრება, მაშინ ვერ მალავს ვერც ბოღმას და ვერც სიკეთეს. ვიცი ადამიანები, ცხოვრებაში კეთილად იქცევიან და რომ დათვრებიან, პათოლოგები და ბოროტები ხდებიან. არ გაგიგიათ, ადამიანი სიმთვრალეში სიმართლეს ამბობს და რეალურ სახეს აჩენსო? ეს ნამდვილად სიმართლეა.

***– ბორის, ისევ თქვენს შემოქმედებას დავუბრუნდეთ. გაქვთ კონკრეტული შემოთავაზებები ფესტივალებიდან და კონკურსებიდან?***

– ჯერჯერობით ორიენტირებული ვართ ამ საგასტროლო ტურნეზე. ბევრი გეგმები, ბევრ იმედგაცრუებას იწვევს. წინასწარ არაფერს ვგეგმავ, იმიტომ. რომ რაც კი წინასწარ დავგეგმე, არაფერი გამოვიდა. მთავარია ღმერთს მივენდოთ. როცა კი არ დამიგეგმავს, საოცარი სიურპრიზები მომხდარა ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ არ დაგეგმოთ წინასწარ არაფერი. სხვათა შორის, არ ვგეგმავ არც სიყვარულს. რომ ამბობენ, ახლა გავიცნობ მაგარ გოგოს და 30 წლის ასაკში ოჯახს შევქმნიო, ასე ნამდვილად არ ვარ. ამით საკუთარ თავს აბრიყვებ და მეტი არაფერი.

***– რამდენი წლის ხართ?***

– 27-ის.

***– ამბობენ, 25 წლის შემდეგ მამაკაცს ცოლის მოყვანა უჭირსო.***

– ჰო ეს მეც გამიგია, წუნიობას იწყებენო.

***– თქვენც წუნია ხართ?***

– წუნია ნამდვილად არ ვარ, უბრალოდ ადამიანში ვეძებ ყოველთვის კარგს, მაგრამ როცა ცუდი სჭარბობს, გარეგნული სილამაზეც იკარგება და ყველაფერი.

***– როგორები არიან ქართველი გოგონები?***

– ქართველი გოგონები იმდენად დაკომპლექსებული არიან, თან ეს კომპლექსები იმდენად მომაბეზრებელი და დამღლელია, ის ადამიანი უკვე მბეზრდება. არანაირი სურვილი აღარ მაქვს მასთან ურთიერთობის.

***– იქნებ, გოგონებს თქვენი პოპულარობა აკომპლექსებთ?***

– შეიძლება ესეც არის, მაგრამ მგონია, რომ ჩემი პოპულარობა მათ არაფერს უნდა უშლიდეთ. თუკი ჩემი პოპულარობა აკომპლექსებს ვინმეს, ის უკვე იდიოტია.

***– უცხოელ გოგონაზე ისევ ხართ შეყვარებული?***

– ცხოვრებაში არასოდეს არ ვყოფილვარ შეყვარებული. ეს იყო რაღაც ძლიერი ვნება, რომელიც სიყვარულსაც აჭარბებს, თუმცა ის აუცილებლად მთავრდება, რამდენიმე თვეში, მაქსიმუმ წელიწადში. შეიძლება ადამიანის მიმართ გქონდეს მაგარი ვნება, გეგონოს რომ გიყვარს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ სულაც არ გიყვარს. ვყოფილვარ ჩაციკლული გოგონაზე, რომელთანაც მქონია ძლიერი ვნება და მგონებია, რომ მიყვარს, მაგრამ ამ დროს არ მყვარებია.

***– ამას როგორ აღმოაჩენთ ხოლმე?***

– მე ჰოროსკოპით მშვილდოსანი ვარ და ამას ყველაფერს თავად ვხვდები. მე შემიძლია მაგარი სიყვარული, შემიძლია თან გადავყვე, მაგრამ როცა იმედგაცრუებას ვნახავ, იმას შემდეგ სხვაში ვანაცვლებ.

***– და ასე როდემდე უნდა ანაცვლოთ?***

– სანამ ჩემს ნამდვილ სიყვარულს არ ვიპოვნი. ეს სულაც არ არის ცუდი. აუცილებლად უნდა შეანაცვლო, ე.ი. ის შენთვის არ არის.

***– იმ გოგონებს გული არ სწყდებათ?***

– რა ვიცი, კარგად არიან და გული თუ დაწყდათ, არ ვიცი, მაგრამ არავინ არავის არ გადაყვება.

***– ახლა თავისუფალი ხართ?***

– რა თქმა უნდა.

***– აქვთ ქართველ გოგონებს შანსი, თუ მათი კომპლექსები ხელს გიშლით?***

– რა ვიცი. ყველას ხომ არ ეყვარები, ამის შანსი არ არსებობს. ყველას კომერციული დაინტერესება აქვს. ფულის გამო არავის დავუწუნივარ, მაგრამ ახლანდელი გოგონები უყურებენ როგორი მანქანა გყავს. არ აინტერესებთ შენი გარეგნობა. ალენ დელონი არ ვარ, მაგრამ ახლა ნამდვილად კარგად გამოვიყურები. 15 კილო დავიკელი.

***– როგორ დაიკელით?***

– ვვარჯიშობ. კაცებს უჭირთ, მაგრამ ბორიას არ უჭირს, იმიტომ რომ ბორია ერთია და განუმეორებელი. ბოლოს ფეხსაცმელზე თასმა რომ ველარ შევიკარი, გავგიჟდი. ვვარჯიშობ და 6-ის მერე აღარ ვჭამ. სოფო დიეტაზეა, ის არ ვარჯიშობს. სუფთა დიეტა ცუდია. როცა ვარჯიშობ კიდეც, ვიტამინი გერგება და საკვები ქონში არ მიდის. ვარჯიშისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ. ნარკოტიკივით არის, სწორმა ვარჯიშმა კარგი შედეგის მოცემა იცის. ყოველდღე 7 კილომეტრს დავრბივარ, ხან კუს ტბაზე და ხანაც იპოდრომზე. ამასწინათ ისე ციოდა, არავინ იყო, მარტო მე დავრბოდი.


ჩემო მანანა!

გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს შენს ქმართან, შვილებთან, შვილიშვილებთან და ახლო მეგობრებთან ერთად.



დაბადებულხარ 13 ნოემბერს
და გისურვებდი მრავალჟამიერს
ამ ლექსში სიყვარული ვეღარ დავტიე
და გიგზავნი ამ პატარა კუპლეტს
დიდხანს იცოცხლე! დიდხანს იცოცხლე!
შენი ძმა იბო

# გიორგი შერმადინი: „კანტუში“ ჩამოსვლის შემდეგ თავს კომფორტულად ვგრძნობ“

ევროლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი მთავარი სიურპრიზი იტალიური „კანტუ“ გახდა, რომელიც ევროპული კალათბურთის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს 17-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. თუმცა, ოთხ ტურში უკვე სამი გამარჯვება მოიპოვა და ა ჯგუფის ლიდერთა შორისაა. კანტუელთა წარმატებაში დიდი წვლილი საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელებს, უკანხაზელ მანუჩარ მარკოიშვილსა და ცენტრ გიორგი შერმადინსაც შეაქვთ. თუ მარკოიშვილი „კანტუსთვის“ უცხო არ არის და იქ უკვე 3 წელია თამაშობს, შერმადინი აპენინებზე სულ რაღაც ერთი თვის წინ გადაბარგდა, მაგრამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ქცევა არ გასჭირვებია.

22 წლის ქართველის გამორჩეული თამაში არც უცხოელ ჟურნალისტებს გამორჩენიათ. ქართველ კალათბურთელთან ინტერვიუ ევროლიგის ვებ-გვერდზე გამოჩნდა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ინტერვიუ მანამდე იყო ჩაწერილი, სანამ „კანტუ“ პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ დაამარცხებდა. კანტუელთა ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი კი სწორედ შერმადინი იყო, რომელმაც 7 წამით ადრე ერთი საჯარიმო გამოიყენა და თავისიანები ქულით დააწინაურა, შეტევაში წასულ სტუმართა მცველს კი მათივე მოედნიდან სდია და ზედ ბოლო წამზე ჩასაგდები ბურთი დაუფარა.




***– სეზონის ჩინებულად დაწყებას გილოცავთ. თანაგუნდელებთან ერთად საწყისი მატჩების მოგების შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?***

– გმადლობთ. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ თვეც არ გასულა, რაც აქ ვიმყოფები და ასეთ სიტუაციაში აღმოჩენა ნამდვილად დიდებული რამაა. თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ, ევროლიგაში საშინაო მატჩები მოვიგეთ და მხოლოდ სტუმრად, „კახა ლაბორალთან“ დავმარცხდით. ცუდი სტარტი ნამდვილად არ გვქონია, თუმცა, ისიც კარგად ვიცით, რომ ყოველი მომდევნო თამაში კიდევ უფრო რთული იქნება.

***– წინასასეზონო პერიოდში „კანტუს“ საკმაოდ გვიან შეუერთდით. ასეთ მოკლე ხანში გუნდთან შეწყობა როგორ მოახერხეთ?***

– მთავარი ისაა, რომ აქ ჩამოსვლის შემდეგ საკმაო სათამაშო დრო მეძლევა, დაახლოებით 20-25 წუთი. ჩემთვის „კანტუ“ სიახლეს წარმოადგენს, მაგრამ თავად გუნდსაც კიდევ რამდენიმე ახალწვეული ჰყავს. იტალიაში გამოჩენის შემდეგ მუდმივად ვცდილობ, მოედანზე ჩემი საუკეთესო თვისებები ვაჩვენო. ამაში თანაგუნდელები და მწვრთნელიც ძალიან მეხმარებიან. ეს უკანასკნელი ძალიან მენდობა და მეც მინდა, მადლობა კარგი გარჯით გადავუხადო. მოედანზე გასვლისას სწორედ ამაზე ვფიქრობ.

***– ევროლიგაში მოედანზე გატარებულ წუთებში მოტანილი სარგებლობის მიხედვით მეორე მაჩვენებელი გაქვთ, შარშან კი მეოთხე იყავით. რაში მდგომარეობს თქვენი საიდუმლო, როდესაც მცირე დროშიც კი გუნდისთვის ბევრი რამის გაკეთებას ასწრებთ?***

– ნამდვილად არ ვიცოდი, თუკი თქვენ მიერ ხსენებულ მაჩვენებლებში ლიდერთა შორის ვიყავი. ეს ძალიან საპატიო რამაა. ისე კი გასულ თამაშებში განსაკუთრებული ნამდვილად არაფერი გამიკეთებია. ისევე გავისარჯე, როგორც ყველა სხვა მატჩში იქნებოდა. საკუთარი სტატისტიკის გასაუმჯობესებლად ნამდვილად არ ვთამაშობ. მთავარია, გუნდს რაც შეიძლება მეტი მატჩის მოგებაში დავეხმარო. „კანტუში“ ჩამოსვლის შემდეგ თავს კომფორტულად ვგრძნობ და ეს წარმატებულ ასპარეზობაში ასევე მეხმარება.

***– ამ სეზონში ფრანგულ „ნანსისთან“ მატჩი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კანტუელთათვის ევროლიგაში პირველი თამაში იყო. იმ დღეს დარბაზში როგორი ატმოსფერო სუფევდა და ეს წარმატებაში თუ დაგეხმარათ?***

– დიახ, გულშემატკივრები ძალიან დაგვეხმარნენ და არა მხოლოდ იმ დღეს. ყველა თამაშში ასეა. რასაკვირველია, ევროლიგის პირველი ტურის მატჩი გამორჩეული გახლდათ, მით უმეტეს, რომ შინ ვთამაშობდით. კანტუ პატარა ქალაქია, მაგრამ კალათბურთს უდიდესი ადგილი უჭირავს. უამრავი ქომაგი გვყავს და ყველა თავს მოვალედ თვლის, დარბაზში მოვიდეს და მხარი დაგვიჭიროს. ისინი მთელი შეხვედრის განმავლობაში არ ჩერდებიან. ეს ნამდვილი ფანტასტიკაა!

***– „კანტუმ“ ერთადერთი მატჩი სტუმრად „კახა ლაბორალთან“ წააგო, თუმცა, მაშინაც ძალიან ღირსეულად გამოიყურებოდა. ამ შეხვედრის შემდეგ გუნდის კონკურენტუნარიანობის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებოდათ.***

– ნამდვილად ასეა. იმ თამაშში დაცვაში არცთუ კარგად გავისარჯეთ და შინ გამარჯვებულები იმიტომაც ვერ დავბრუნდით. კონკრეტულად მეც ვერ ვითამაშე კარგად და ეს განსაკუთრებით დაცვას ეხება. ბევრი უაზრო შეცდომა დავუშვით, რამაც წარმატების მიღწევის საშუალება არ მოგვცა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „კახა ლაბორალი“ ძალიან კარგი გუნდია. ისინი ტოპ-16-ში მუდმივად არიან და უდიდესი გამოცდილებაც გააჩნიათ, რაც წარმატებაში ძალიან დაეხმარათ.

***– „კანტუმ“ საკუთარი ძალა კიდევ ერთ ესპანურ გუნდ „ბილბაოსთან“ გამოაჩინა. იმ უმნიშვნელოვანესი მატჩის მოგება რის ხარჯზე მოახერხეთ?***

– ვიცოდით, რომ თუკი ტოპ-16-ში გასვლა გვსურდა, ამ შეხვედრაში წაფორხილების უფლება არ გვქონდა. ვიტორიული მატჩისგან განსხვავებით, დაცვაში ძალიან კარგად ვითამაშეთ და ეს გადამწყვეტ ფაქტორად იქცა. ბილბაოელებს ძალიან სახიფათო გუნდი ჰყავთ, მაგრამ მათი იერიშების შეჩერება მოვახერხეთ. ამ გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა, მაგრამ ვიცით, რომ მთავარი ახლა იწყება. არაერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის და წარმატებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ.

***– დაცვაში თამაში რამდენჯერმე ახსენეთ. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ უმთავრეს მნიშვნელობას სწორედ ამ ასპექტს ანიჭებთ.***

– დაცვაში კარგი თამაში ნებისმიერი გუნდისთვის მნიშვნელოვანია და გამონაკლისი არც „კანტუა“. თუმცა, იმაშიც გეთანხმებით, რომ ჩვენ მთავარ აქცენტს სწორედ ამაზე ვაკეთებთ და აღნიშნული მეც ძალიან მომწონს. ყოველი მატჩის წინ არაერთ ჩანაწერს ვუყურებთ და დაწვრილებით ანალიზს ვუკეთებთ, მეტოქე შეტევაში როგორ თამაშობს. მწვრთნელები მოწინააღმდეგე კალათბურთელების გარჯას არჩევენ, მათ გამორჩეულ მსროლელებზე მიგვითითებენ და ცხადია, ჩვენ მიერ დაშვებულ შეცდომებზეც გვეუბნებიან. ჩვენთვის ყოველი ახალი თამაშს გარკვეული სიახლეები მოაქვს და ეს ძალიან საინტერესოა. მაგალითად, ვიტორიული მატჩის შემდეგ თამაშში გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ და ეს ბილბაოელთა დამარცხებაში დაგვეხმარა.

***– ათენის „პანათინაიკოსთან“ ერთად ევროლიგის მოგების შემდეგ განათხოვრების წესით ამ ტურნირის მონაწილე კიდევ ორი გუნდის მაისურის მორგება მოგიხდათ. ალბათ, ეს სათამაშო დროის გაზრდაშიც დაგეხმარათ.***

– ცხადია. მოედანზე უფრო დიდი დროის გატარება სლოვენიურ „ოლიმპიაში“ გადასვლის შემდეგ დავიწყე. ჩემნაირი ახალგაზრდა კალათბურთელისთვის მთავარი სწორედ რაც შეიძლება მეტი სათამაშო წუთის მიღებაა. ახლანდელი მწვრთნელის ნდობას ნამდვილად ვგრძნობ. მან კარგად იცის, გუნდისთვის სარგებლობის მოტანა როდის შემიძლია და მეც მოედანზე გასვლის შემდეგ თავს არ ვზოგავ.

***– გასულ სეზონში „ოლიმპიასთან“ ერთად არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარეთ. იმ პერიოდს როგორ გაიხსენებდით?***

– დიდებული პერიოდი იყო. გუნდში არაერთი კარგი კალათბურთელი იყო შეკრებილი და თამაშსაც შესაბამისს ვაჩვენებდით. შედარებისთვის, ახლა ლიუბლიანელებს გაცილებით ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ. გასულ სეზონში კი ნამდვილად კარგი შედეგები გვქონდა. ევროლიგის ტოპ-16-ში გავაღწიეთ, ადრიატიკის თასის ფინალში ვითამაშეთ და სლოვენიის თასი მოვიგეთ. ჩემთვის ეს ძალიან დიდი გამოცდილება იყო.

***– „კანტუში“ ერთადერთი ქართველი კალათბურთელი არ ხართ. აქვეა მანუჩარ მარკოიშვილიც, რომელთან ერთადაც 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდით. იტალიურ გუნდში გადმოსვლისას ამ ფაქტორმაც საკუთარი როლი ითამაშა?***

– გარკვეულწილად – კი. ცხადია, „მანუ“ ბევრ რამეში მეხმარება. მარკოიშვილს მრავალი წელია ვიცნობ და ეროვნულ ნაკრებში არაერთი თამაში ჩაგვიტარებია. მან კანტუს ცხოვრების შესახებ ყველაფერი იცის და ქალაქის სწრაფად გაცნობაც ძალიან გამიადვილდა. მოკლედ, როდესაც ახალ გუნდში გადადიხარ და იქ გხვდება ადამიანი, რომელიც მზადაა, ყველაფერში გვერდში დაგიდგეს, ძალიან სასიამოვნოა. ისიც ძალიან მიხარია, რომ ჩემს თანამემამულესთან მშობლიურ ენაზე საუბრის საშუალება მაქვს და მოედანზე ერთდროულად ყოფნისას ერთმანეთის დახმარებას ყველანაირად ვცდილობთ.

***– 22 წლის ასაკში ევროლიგაში სრული მესამე სეზონის ჩატარებით ცოტა ვინმე თუ დაიკვეხნის. ასეთი მიღწევის შემდეგ თქვენი მომავალი როგორ გესახებათ?***

– ძნელი სათქმელია, მომავალში რა იქნება. ამჟამად მხოლოდ აწმყოთი ვარ დაკავებული და მიზნად ის მაქვს, რომ „კანტუმ“ ტოპ-16-ის საგზური მოიპოვოს. ამისთვის კი ყოველ მომავალ თამაშზე მაქსიმალური კონცენტრაციით გასვლაა საჭირო.

# გიორგი პაპიაშვილი: „ტორპედოში“ მნიშვნელოვან ცვლილებებს ელოდეთ“



20 და 24 ნოემბერს ქუთაისის „ტორპედოს“ ორი მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა აქვს ჩასატარებელი. „ტორპედო“ ჯერ განახლებულ „ბორის პაიჭაძეს“ ეწვევა, სადაც ქართულ ელკლასიკოდ შერაცხულ მატჩში თბილისის „დინამო“ უმასპინძლებს. შემდეგ კი ქუთათურები „ზესტაფონს“საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში შინ დაუხვდებიან.

ამ მატჩებისთვის მზადების შესახებ „ტორპედოს“ ვებგვერდზე კლუბის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი პაპიაშვილის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

***– ვიდრე უშუალოდ ჩემპიონატისა და თასის მომავალი მატჩების შესახებ დაგეკითხებით, გუნდის ახალი სამწვრთნელო შტაბის პირველ შედეგებზე გვითხარით.***

– ჩვენთვის გია გეგუჩაძის ასეთი წარმატებული სტარტი სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. საკმაოდ ხშირი შეხვედრები გვაქვს „ტორპედოს“ მწვრთნელებთან და ყველანი ვთანხმდებით იმაში, რომ ასეთი წარმატებული სერია უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. იმისათვის, რომ გუნდი ყველაფრისთვის მზად იყოს, ალბათ, შესაბამისი ფსიქოლოგიური მუშაობაა საჭირო, რასაც, იმედი მაქვს, მთავარი მწვრთნელი და მისი ასისტენტები თავს წარმატებით გაართმევენ.

***– აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ქუთაისელი გულშემატკივარი საკმაოდ მომთხოვნია და ამდენი მოგებული მატჩის შემდეგ მცირედი წარუმატებლობაც კი შესაძლოა მტკივნეულად იქნეს აღქმული.***

– სწორედ მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ გეგუჩაძე და მისი გუნდი „ტორპედოში“ ხუთწლიანი პროგრამითაა მოსული. ჩვენ მიერ ამ გუნდისთვის მიმდინარე სეზონში დასახული მიზანი ასეთია – „ტორპედო“ საუკეთესო 8 გუნდში უნდა მოხვდეს. რა თქმა უნდა, უკეთეს შედეგზე უარს არ ვამბობთ, მაგრამ მინდა, ყველამ კარგად გაიგოს – ჩვენ ეტაპობრივი წინსვლის გეგმა გვაქვს დასახული და გუნდსაც მის შესრულებას მოვთხოვთ.

***– აქ საკუთარი ადგილი ექნება ევროტურნირზე „ტორპედოს“ მოხვედრას.***

– არა მარტო მოხვედრას. იქ წარმატებული გამოსვლაც გვაქვს გათვალისწინებული. ყველაფერს თავისი დრო აქვს და გვჯერა, რომ ყველანი ერთად საკუთარი თვალით ვიხილავთ ევროასპარეზზე ჩვენი გუნდის ღირსეულ თამაშს. ჩვენ ასევე ვთანხმდებით სამწვრთნელო შტაბთან იმაზე, რომ ფეხბურთელების ამ შემადგენლობით ევროპაში შევრცხვებით. მინდა სწორად გამიგონ იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც ზამთრის შესვენების შემდეგ „ტორპედოში“ ვეღარ დარჩებიან. ჩვენ უკეთეს მომავალზე ვფიქრობთ და ასეთ არჩევანსაც იმიტომ ვაკეთებთ.

***– ე.ი. უნდა ვიფიქროთ, რომ „ტორპედო“ შესამჩნევად შეიცვლება.***

– ცვლილებები გარდაუვალია. მოგეხსენებათ, კლუბის ხელმძღვანელობა არასოდეს ჩარეულა მწვრთნელების კომპეტენციაში და ამჯერადაც ამ პრინციპის ერთგულნი ვიქნებით. რაც ვიცით, ისაა, რომ გუნდის ერთი ხელის მოსმით გაახალგაზრდავებას არავინ აპირებს. ნებისმიერ გუნდს, მათ შორის „ტორპედოსაც“, ესაჭიროება გამოცდილი და სხვებისთვის მაგალითის მიმცემი ფეხბურთელები. ამდენად, ვეტერანების ერთი ხელის აქნევით დათხოვნას არავინ აპირებს. კომპლექტაციის პრინციპს რაც შეეხება, როგორც მწვრთნელებთან ხშირი შეხვედრებიდან გავიგეთ, იგი აუცილებლად იქნება დაფუძნებული სპორტსმენის კვალიფიკაციის ზრდადობაზე.

***– ჩემპიონატზე პაუზაა, რომლის შემდეგ „ტორპედოს“ 2 მეტად პრინციპული მატჩი ელის.***

– ალბათ, არავის გულს არ დავწყვეტ, თუ ვიტყვი, რომ „ტორპედოსა“ და „დინამოს“ დაპირისპირებებს საქართველოში ყოველთვის სხვაგვარი დატვირთვა ჰქონდა. ორივე გუნდში მოთამაშეები საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართულ „კლასიკოში“ მიღწეულ შედეგს. ამდენად, ფეხბურთელების დამატებითი მოტივაცია აქ უადგილოა. სასიამოვნოა ის, რომ 20 ნოემბერს თბილისის „დინამოსთან“ ჩვენი თამაში განახლებულ ეროვნულ სტადიონზე შედგება. მოგეხსენებათ, როგორ ჭირს ჩვენში კარგი მინდორი და ესეც ერთგვარი სტიმული იქნება ფეხბურთელებისთვის.

***– ცნობილია, რომ ამ მატჩზე კლუბი ქომაგთა უფასოდ ტრანსპორტირებას განახორციელებს.***

– მოგეხსენებათ, წელს შეიქმნა „ტორპედოს“ ქომაგთა კლუბი, რომელიც დღეისათვის 150 წევრს აერთიანებს. მათ ჰყავთ ხელმძღვანელი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს თბილისში წასვლის მსურველებს. რა რაოდენობის ტრანსპორტიც იქნება საჭირო, ჩვენ მის უფასოდ გამოყოფას უზრუნველვყოფთ. თუმცა, აღნიშნული შეღავათით მხოლოდ ქომაგთა კლუბის წევრები ისარგებლებენ.

***– ეს 20 ნოემბრის მატჩისთვის. შემდეგ ქუთაისში არანაკლებ პრინციპული სათასო შეხვედრა გველის „ზესტაფონის“ წინააღმდეგ, რომელზე დასწრებაც უფასო გამოცხადდა.***

– დიახ, 24 ნოემბერს ჩვენ წინააღმდეგ „ზესტაფონი“ ითამაშებს. ისე მოხდა, რომ ჩემპიონატზე ამ გუნდთან პირველ წრეში განცდილი მარცხის შემდეგ ჩვენი სტადიონის ტრიბუნებზე ჩვეული რაოდენობის მაყურებელი ვერ მოვიყვანეთ. ეს, პირველ რიგში, „ტორპედოს“ მიერ ნაჩვენებ თამაშსა და შედეგს უკავშირდებოდა. იყო ობიექტური მიზეზიც, რასაც უამინდობით ვხსნით. მოკლედ, გვინდა, გულშემატკივარი სტადიონს დავუბრუნოთ და ამისათვის კლუბმა მისი მხრიდან ასეთი ნაბიჯი გადადგა – ჯერი მაყურებელზეა.

***– ცნობილია, რომ „ტორპედოს“ თამაშებზე დასწრების მსურველთათვის აბონემენტებიც დაამზადებინეთ.***

– სეზონის დაწყების წინ 350 აბონემენტი დავამზადეთ. თითოეულის ფასი 40 ლარია. მის მფლობელს საშუალება აქვს, ჩვენ სტადიონზე გამართულ ეროვნული ჩემპიონატის და თასის ყველა შეხვედრაზე მოვიდეს და დასავლეთ ტრიბუნის სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან თვალი ადევნოს „ტორპედოს“ თამაშს. დღეისათვის გაყიდულ აბონემენტთა რიცხვმა 200-ს გადააჭარბა. იმედი გვაქვს, ჩვენი გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგის ფონზე ინტერესი ამ მხრივაც მოიმატებს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა – იმის მიუხედავად, რომ ახალ სეზონში ჩვენმა გუნდმა უკვე არაერთი საშინაო მატჩი გამართა, აბონემენტის ფასი უცვლელია.

***– საკლუბო ატრიბუტიკის რეალიზაციაც მიმდინარეობს?***

– დიახ. ჩვენ ასევე დავამზადებინეთ „ტორპედოს“ფეხბურთელთა იდენტური მაისურები, რომლებსაც მსურველს თვითღირებულებით, 60 ლარად ვაძლევთ. მერწმუნეთ, ამ პროექტში კლუბის ფინანსური დაინტერესება ნულის ტოლია. ჩვენი სურვილია, ერთგულ გულშემატკივარს საყვარელი გუნდის მაისურის შეძენა შევაძლებინოთ.

***– სად შეეძლება მსურველს ამ მაისურების შეძენა?***

– ჯერჯერობით ცენტრალური სტადიონის ადმინისტრაციულ შენობასთან უნდა მობრძანდნენ. სულ მალე კლუბის გამაჯანსაღებელ კომპლექს „ლაგუნაში“ საკლუბო ატრიბუტიკის მაღაზია გაიხსნება და მსურველებს იქ შეეძლებათ სასურველი ზომის ყვითელი და მწვანე „ტორპედოს“ მაისურების შეძენა. საჩუქარს ვუმზადებთ ქომაგთა კლუბის წევრებს. გერმანიაში შევუკვეთეთ და, იმედი გვაქვს, 24 ნოემბრისთვის ადგილზე გვექნება 2 ცალი დოლი. ასევე ველოდებით „ტორპედოს“ 5-მეტრიან დროშებს. შეიძლება ითქვას, ჩვენთან ქომაგებს, ისევე, როგორც ფეხბურთელებს, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

***– კლუბის საწვრთნელი ბაზის მშენებლობა რა ეტაპზეა?***

– სამწუხაროდ, მიზეზთა გამო მისი სრული ტემპით დაწყება მომავალი წლის მარტამდე ვერ ხერხდება. პროექტი, რომელიც სტანდარტული ზომის 6 (4 ბუნებრივი, 2 ხელოვნური საფარით) სტადიონის აშენებას ითვალისწინებს, დამტკიცებულია. ამ მასშტაბებიდან გამომდინარე, საღორიის საწვრთნელი ბაზის საზღვრები გაიზრდება, რაშიც შესაბამისი ორგანოების თანადგომის იმედი გვაქვს.

***– ცენტრალურ სტადიონს რაც შეეხება, მასზე რა დონის შეხვედრების მასპინძლობას შეძლებთ?***

– ჩვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უკვე გავაგზავნეთ შესაბამისი მოთხოვნა და გვსურს, „ტორპედოს“ სტადიონმა მე-4 კატეგორია მიიღოს. როგორც ვიცით, უეფას მიერ წაყენებული პირობების შესრულება ჩვენთვის პრობლემატური არ უნდა იყოს. უკვე მონიჭებული მე-3 კატეგორია უფლებას გვაძლევს, ევროპის საკლუბო ტურნირების ყველა შესარჩევ ეტაპს ვუმასპინძლოთ. ჯგუფურ ეტაპებს რაც შეეხება, მისთვის მე-4 კატეგორიაა აუცილებელი. იმედი გვაქვს, როცა გუნდი იქნება ამ ეტაპზე სათამაშოდ, კლუბიც შესაბამისად მომზადებული შეხვდება ამ მომენტს.

# რუსეთიდან 100 ტაჯიკ მოქალაქეს აძევებენ

რუსეთ-ტაჯიკეთის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. რუსეთის საიმიგრაციო ფედერალური სამსახური ქვეყნიდან 100 ტაჯიკს უცერემონიოდ გააძევებს.

„რია ნოვოსტისთან“ საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანონიმი წარმომადგენელი არ მალავს, რომ ეს ოფიციალური მოსკოვის საპასუხო რეაქციაა ტაჯიკეთში დაპატიმრებული ორი რუსი მფრინავის საქმესთან დაკავშირებით.

ანონიმი წყაროს განცხადებით, ეს რუსეთის ასიმეტრიული პასუხის ნაწილია აღნიშნულ საქმეზე.

რუსული სააგენტო, ამავდროულად, საემიგრაციო სამსახურის პოზიციასაც აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, ეს მხოლოდ-დამხოლოდ მიგრანტების გეგმიური დეპორტაციაა. ამავე უწყების ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ წუხელ მოსკოვში 134 ტაჯიკი მიგრანტი მოულოდნელად დააკავეს, რომელთაც ბრალად საემიგრაციო კანონმდებლობის დარღვევა ედებათ.

ამასთან, ცნობილი ხდება, რომ რუსეთის ელჩი ტაჯიკეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ კონსულტაციებისთვის მოსკოვში გაემგზავრა.

შეგახსენებთ, რომ 8 ნოემბერს ქალაქ კურგან-ტიუბეს სასამართლომ რუსული ავიაკომპანიის ორ პილოტს – ვლადიმირ სადოვნიჩსა და ესტონეთის მოქალაქე ალექსეი რუდენკოს – 8,5 წელი მიუსაჯა. მათ ავიანაწილების კონტრაბანდა, საზღვრის უკანონო გადაკვეთა და საერთაშორისო ავიაგადაზიდვების წესების დარღვევა დასდეს ბრალად.

ამ გადაწყვეტილებამ მოსკოვის მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის საგარეო უწყებამ ტაჯიკეთის ხელისუფლებისგან განაჩენების გადახედვა მოითხოვა.

პრეზიდენტმა მედვედევმა აღნიშნა, რომ განაჩენი ბევრ კითხვას ბადებს და რუსეთი ტაჯიკური მხარის ამ ნაბიჯს აუცილებლად უპასუხებს.

მოსკოვის „ასიმეტრიულმა ნაბიჯმა“ არ დააგვიანა და ასი ტაჯიკი მოქალაქე გასაძევებლად



გამზადებულია. კიდევ 134 კაცი თავის რიგს ელოდება.

რუსულ მედიაში ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტაჯიკებს მუშაობის ნებართვას არ აძლევენ. ამის შესახებ მოძრაობა „ტაჯიკი შრომითი მიგრანტების“ თავმჯდომარე კარომატ შარიპოვმა განაცხადა, ხოლო შემდეგ ეს რუსეთის მიგრანტების ფედერაციის ხელმძღვანელმა მუჰამედ ამინმა დაადასტურა.

რუსეთის საემიგრაციო სამსახური ამ მონაცემებს არ ადასტურებს.

ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ ტაჯიკეთში რუსეთის საელჩომ პილოტების საქმის მიმართ არასაკმარისი ყურადღება გამოიჩინა და რომ კონფლიქტის ადრეულ სტადიაზე გადაწყვეტა იყო შესაძლებელი.

დუშანბეში აცხადებენ, რომ მოსკოვს პილოტების საქმეზე წინასწარი გამოძიებისას და სასამართლო პროცესზე არანაირი მიმართვა არ გაუკეთებია.

10 ნოემბერს პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მიგრაციული სამსახურის ხელმძღვანელ კონსტანტინ რომოდანოვსკისთან შეხვედრა გამართა, სადაც ტაჯიკ მიგრანტებზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე რომოდანოვსკიმ განაცხადა, რომ ჩამოსულებს შორის ტაჯიკებს ყველაზე მეტი სამართალდარღვევა აქვთ.

– აბსოლუტური ციფრების მიხედვით ლიდერი უზბეკეთია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტაჯიკეთის მოქალაქეები ორჯერ ნაკლები არიან, მაშინ ამ შეფარდებით ტაჯიკეთი პირველ ადგილზეა. სამეული დაახლოებით ასე ფორმირდება: ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, – ამბობს ფედერალური საემიგრაციო სამსახურის უფროსი.

– თუ ჩვენთან შრომითი მოღვაწეობისთვის ჩამოდიან, მომზადებული უნდა იყვნენ, არ არის საჭირო ქუჩაში, ვაგზალზე, სამშენებლო ბაზრებზე ხეტიალი, აქედან იწყება სამართალდარღვევები, – ამბობს ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელი.

ამასთან, დიმიტრი მედვედევმა მიგრაციის ფედერალურ სამსახურს უცხოელი სპეციალისტების აქტიური მოწვევა დაავალა.

# ამერიკელ სერჟანტს სადისტობის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

ავღანეთში ნამსახურევ ამერიკელ სამხედრო კელვინ გიბსს სამი მშვიდობიანი ავღანელის მკვლელობის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ეს მკვლელობები სადისტი ჯარისკაცების ბანდამ განახორციელა.

საერთო ჯამში, მსაჯულთა კოლეგიამ მისი დანაშაული ბრალდების 15 პუნქტში აღიარა, ხოლო სასამართლომ სერჟანტის წოდება ჩამოართვა და რიგითებში გადაიყვანა.

თუმცა, 10 წლის შემდეგ 26 წლის გიბსს შეეძლება, ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე თხოვნა შეიტანოს.

გიბსი ამერიკელი სამხედროების ჯგუფში წოდებით უფროსი იყო,



რომლებიც ავღანეთის მცხოვრებლებს „სპორტული ინტერესისთვის“ ხოცავდნენ, – წერს „ბი-ბი-სი“. დანაშაულების იდეურ სულისჩამდგმელად სწორედ მას მიიჩნევენ.

კოლეგა ჯარისკაცების თქმით, სწორედ გიბსი მოუწოდებდა მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობებისკენ, მომავალი ანგარიშსწორებების სცენარსაც კი იგონებდა.

თავის გამართლების მიზნით კელვინ გიბსმა განაცხადა, რომ არ მონაწილეობდა ორი ავღანელის მკვლელობაში, ხოლო მესამეს მხოლოდ იმის გამო ესროლა, რომ მან თავად გახსნა ცეცხლი.

ამასთან, სერჟანტმა აღიარა, რომ მართლაც აჭრიდა თითებს და აძრობდა კბილებს მკვდარ ავღანელებს „საბრძოლო ტროფეის“ სახით, ისევე, როგორც „მონადირეები ინახავენ მოკლული ირმების რქებს „.

თავის მხრივ, პროკურორი აცხადებდა, რომ გიბსი და მისი ქვეშევრდომები უიარაღო ავღანელებს კლავდნენ, ამის შემდეგ კი ბოევიკებად გასასაღებლად გვამებს ავტომატებს უდებდნენ.

სულ ამ საქმეში გიბსის ხუთი თანამოსამსახურე გადიოდა, მათგან სამმა ბრალი აღიარა, დანარჩენებმა მის წინააღმდეგ ჩვენება მისცეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სერჟანტი მათ მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვას უბრძანებდა.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა ადამ უინფილდმა პირველი მკვლელობის შემდეგ მამამისს სოციალურ ქსელში მომხდარის შესახებ მისწერა და დახმარება სთხოვა. უფროსი უიფილდი სახელმწიფო დეპარტამენტსა და პენტაგონს არაერთხელ მიმართავდა, მაგრამ მას ყურადღებას არ აქცევდნენ.

თავად უინფილდმა სასამართლოზე განაცხადა, რომ მკლელობებში იძულებით მონაწილეობდა, რადგან უარის შემთხვევაში გიბსის ანგარიშსწორების ეშინოდა. საბოლოოდ ახალგაზრდას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ენდრიუ ჰოლმსს – შვიდი, ხოლო ჯერემი მორლოკს 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. კელვინ გიბსისთვის განაჩენის გამოტანისას ადვოკატი სასამართლოსა და მსაჯულების დარწმუნებას ცდილობდა, რომ დაცვის ქვეშ მყოფი ის ადამიანი აღარ არის და მისთვის პირობითი სასჯელი მოითხოვა, რადგან მას თავისუფლებაზე მეუღლე და სამი წლის ვაჟი დარჩა.

# პენტაგონის შეფს ირანზე დარტყმის შედეგები აფიქრებს



აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ განაცხადა, რომ ირანზე დარტყმა სასურველ ვითარებას არ მოიტანს და „გაუთვალისწინებელი შედეგები“ შეიძლება ჰქონდეს.

პანეტა ამბობს, რომ ირანზე სარაკეტო შეტევებს ბირთვული პროგრამის მხოლოდ სამი წლით შეკავება შეუძლია.

მინისტრის გამოსვლა მიმართულია თეირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის შესაძლებლობაზე, რომელიც აშშ-ის ან ისრაელის ძალებმა შეიძლება განახორციელონ.

როგორც „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტი ზოი კონუეი ამბობს, ეს ვერსია ვაშინგტონში უკვე მიღებულია და ამერიკულ და ებრაულ მასმედიაში აქტიურად განიხილება.

სამშაბათს „მაგატემ“ განაცხადა, რომ ირანი მართლაც აწარმოებს კვლევებს, რომლებიც ბირთვული იარაღის შექმნისკენაა მიმართული.

პანეტამ თქვა, რომ ირანზე დარტყმა რაღაც დროით ამ ქვეყანას ხელს შეუშლის, გააკეთოს „ის, რისი გაკეთებაც მათ სურთ“.

– მაგრამ გაუთვალისწინებელი შედეგები უნდა ავირიდოთ, – ამბობს აშშ-ის თავდაცვის მდივანი.

– ამას შეიძლება ჰქონდეს სერიოზული გავლენა რეგიონზე და რეგიონში განლაგებულ ამერიკულ ჯარებზე, – ხაზს უსვამს ლეონ პანეტა.

ირანის ქცევის შეცვლისთვის მინისტრი „ყველაზე მკაცრი სანქციების – ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის გამოყენებას“ მოითხოვს.

კითხვაზე, რა უნდა გავაკეთოთ, თუ სანქციები ირანს კურსის შეცვლას არ აიძულებს, პანეტამ უპასუხა, რომ იმედოვნებს, საქმე აქამდე არ მივა.

